








ანტონ ჩეხოვი

# სამი და

ლია ღლონტის თარგმანი

დაიბეჭდა ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებაში", 1989 წ. № 9.

[illegible]
[illegible]
[illegible]

დასასრული. იხ. გვ. 130

სურვილი არ გამჩენია. ალბათ იმიტომ, რომ მსგავსი სანახაობის ხილვის იმედი არ მქონდა...

სანდროს უკანასკნელად 1985 წელს შევხვდი ლიკანში. მაშინ აქ ისვენებდა გეორგ დიმიტროვი და შესაძლებლობა მქონდა ნატურიდან გამომეძერწა მისი პორტრეტი. კარგად მახსოვს სანდროსთან შეხვედრა. როგორღაც აფორიაქებული მეჩვენა, თითქოს რაღაც აღელვებდა... თუმცა, როდის არ იყო, რომ მას რაიმე არ აღელვებდა... ასეთი შემორჩა ჩემს მეხსიერებას და, ვფიქრობ, მისი სულის ეს ბობოქრობა სკულპტურულ პორტრეტშიც აღიბეჭდა...

ქართულ-უნგრული კულტურული და მეგობრული ურთიერთობის კიდევ ერთ რგოლად იქცა უნგრეთში აღმართული რუსთაველის ძეგლი და თბილისში, გრიბოედოვის ქუჩის სკვერში — მიხაი ზიჩის ფიგურა. როგორ დაიბადა და განხორციელდა ეს მშვენიერი იდეა?

რუსთაველის პორტრეტი — ნახევარფიგურა 1955 წელს გამოვკვეთე. ეს ნამუშევარი ჩემს სახელოსნოში ნახა უნგრელმა ხელოვნებისმცოდნემ. მოეწონა. ფოტო გადაიღო. მერე შემომითვალა, რომ უნგრელ ხელოვანთა შეფასების შემდეგ მიღებულია საერთო გადაწყვეტილება — რუსთაველის ეს ფიგურა ძეგლის სახით დაიდგას ქალაქ კეჩკემეტში. ჩემთვის ეს უთუოდ სასიხარულო გადაწყვეტილება ნაწარმოებზე შემდგომ მუშაობას ითხოვდა და ამ სამუშაოში ჩაებნენ: როგორც თანაავტორი — მერაბ მერაბიშვილი და არქიტექტორი ნოდარ მგალობლიშვილი. გასული წლის ბოლოს ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა.

კიდევ მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას გისურვებთ, ბატონო კოტე!

საბჭოთა ხელოვნება №9 1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ ჩეხოვი

# სამი და

## ოთხმოქმედებიანი დრამა

მოქმედნი პირნი:

**პროზოროვი ანდრეი სერგეევიჩი.**
**ნატალია ივანოვნა,** მისი საცოლე, შემდეგ ცოლი.
**ოლგა**
**მაშა** ანდრეის დები
**ირინა**
**კულიგინი ფიოდორ ილიჩი,** გიმნაზიის მასწავლებელი,. მაშას ქმარი.
**ვერშინინი ალექსანდრ იგნატიევიჩი,** პოდპოლკოვნიკი, ბატარეის უფროსი.
**ტუზენბახი ნიკოლაი ლვოვიჩი,** ბარონი, პორუჩიკი.
**სოლიონი ვასილ ვასილიევიჩი,** შტაბსკაპიტანი.
**ჩებუტიკინი ივან რომანოვიჩი,** სამხედრო ექიმი.
**ფედოტიკი ალექსეი პეტროვიჩი,** პოდპორუჩიკი,
**როდე ვლადიმირ კარლოვიჩი,** პოდპორუჩიკი.
**ფერაპონტი,** ერობის სამმართველოს მოხუცი დარაჯი.
**ანფისა,** ოთხმოცი წლის გადია.

მოქმედება ხდება საგუბერნიო ქალაქში.

## პირველი მოქმედება

პროზოროვების სახლი. სვეტებიანი სასტუმრო ოთახი. უკან დიდი დარბაზი მოჩანს. გარეთ მზიანი, ჩახჩახა შუადღეა. დარბაზში სუფრას შლიან.

ქალთა გიმნაზიის მასწავლებლის ლურჯ კაბაში გამოწყობილი ოლგა დგას და რვეულებს ასწორებს. მაშა შავ კაბაშია. მუხლებზე შლიაპა უდევს და წიგნს კითხულობს, ირინა ჩაფიქრებული დგას. მას თეთრი კაბა აცვია.

**ოლგა.** მამის გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა, დღევანდელ დღეს, ხუთ მაისს გარდაიცვალა, შენი დღეობა იყო, ირინა. მახსოვს, როგორ ციოდა, თოვდა კიდეც. მეგონა, ვერ გადავიტანდი ამ უბედურებას. შენ ხომ ლამის ხელში ჩაგვაკვდი. ახლა, ერთი წლის შემდეგ თავისუფლად ვლაპარაკობთ ამაზე. შავებიც გაიხადე, სახეც გიბრწყინავს!

საათი თორმეტჯერ რეკავს.

მაშინაც ასე დარეკა საათმა.

პაუზა.

მახსოვს, მუსიკით გაასვენეს. სასაფლაოზე რომ მივედით, გაისროლეს. მამა ხომ გენერალი იყო, ბრიგადის მეთაური, პროცესიას კი ცოტა ხალხი გაჰყვა... თუმცა საშინლად წვიმდა, გათოვდა კიდეც...

**ირინა.** რატომ გაიხსენე!

დარბაზში, მაგიდასთან გამოჩნდებიან ბარონი. ტუზენბახი, ჩებუტიკინი და სოლიონი.

**ოლგა.** რა სასიამოვნოდ დათბა დღეს. ფანჯრის გაღებაც შეიძლება. თუმცა არყის ხეები ჯერ არ გაკვირტულა. მამამ რომ ბრიგადა ჩაიბარა და მოსკოვიდან წამოგვიყვანა, მას შემდეგ თერთმეტი წელი გავიდა, მაგრამ შესანიშნავად მახსოვს, როგორია ამ დროს მოსკოვი— ყველაფერი ყვავის, თბილა და მზე უხვად ანათებს. თერთმეტი წელი გავიდა, მე კი გუშინდელივით მახსოვს ყველა წვრილმანი, ღმერთო ჩემო! ამ დილით თვალი რომ გავახილე, ზღვა სინათლე დავინახე, გაზაფხული შემომეგება და სიხარულმა ისე ამაფორიაქა, საშინლად მომინდა მოსკოვში ყოფნა.

**ჩებუტიკინი.** ვერ მოგართვეს.

**ტუზენბახი.** სისულელეა!

მაშა ჩაფიქრებული წიგნს დაჰყურებს და უსტვენს.

**ოლგა.** ნუ სტვენ, მაშა, უხერხულია!

პაუზა.

როგორ დამქანცა ყოველდღე გიმნაზიაში სიარულმა, საღამომდე მოწაფეებთან მეცადინეობამ ხომ სულ გამომათაყვანა. თავის ტკივილსაც ვერაფერი მოვუხერხე. ხანდახან მგონია, დავბერდი. ოთხი წელია, ვმუშაობ და სულ ვგრძნობ, რომ მიხხალ-მიხხალ მაცლის გიმნაზია ძალასაც და ახალგაზრდობასაც. ერთადერთი, რაც მახარებს და მაძლებინებს, ოცნებაა...

**ირინა.** რომ ისევ ვეღირსებით მოსკოვს. გავყიდით ამ სახლს, აქ აღარავითარი საქმე აღარ გვექნება და ემეი. მოსკოვისაკენ...

**ოლგა.** რა თქმა უნდა, და, რაც შეიძლება, სასწრაფოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩებუტიკინი და ტუზენბახი იცინიან.

**ირინა.** ანდრეი, ალბათ, მალე პროფესორობას მიიღებს და მერე აქ რაღა გააჩერებს საცხოვრებლად, საქმე ის არის, მაშას რა ეშველება.

**ოლგა.** მაშა ზაფხულობით ჩამოვა ხოლმე მოსკოვში ჩვენთან.

მაშა ჩუმად უსტვენს.

**ირინა.** ღვთის შეწევნით ყველაფერი კარგად იქნება. (ფანჯარაში იყურება.) როგორ თბილა დღეს. არც კი ვიცი, რამ გამინათა ასე სული. ამ დილით გამახსენდა, რომ დღეს ჩემი დღეობაა და ერთბაშად ისე გამიხარდა!.. ბავშვობა მომაგონდა, დედა ცოცხალი იყო... რამდენ მშვენიერ რამეზე ვოცნებობდი მაშინ, რა საოცარი ფიქრები მაღელვებდა.

**ოლგა.** ასე რამ გაგიბრწყინა სახე? იცი, დღეს რა ლამაზი ხარ! მაშაც ლამაზია. ანდრეი რომ ასე არ გასუქებულიყო, ისიც ლამაზი იქნებოდა. არ უხდება სიმსუქნე. აი, მე კი დავბერდი, ძალიან გავხდი. ალბათ იმის ბრალია, გიმნაზიაში გოგონები რომ მაჯავრებენ. დღეს თავისუფალი ვარ, შინიდან არ გავსულვარ და თავიც აღარ მტკივა, გუშინდელთან შედარებით თითქოს გავახალგაზრდავდი... თუმცა ჯერ ოცდარვა წლისა ვარ... ყველაფერზე თანახმა ვარ, ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ, ასე მგონია, რომ გავთხოვილიყავი და საკუთარი ოჯახი მყოლოდა, თუნდაც ოცდაოთხი საათი ვმჯდარიყავი შინ, მაინც ამაზე ბედნიერი ვიქნებოდი.

პაუზა.

ქმარი მეყვარებოდა.

**ტუზენბახი** (სოლიონის). ამდენი სისულელის მოსმენა არ შემიძლია, (სასტუმრო ოთახში შედის.) დამავიწყდა მეთქვა, დღეს ჩვენი ბატარეის ახალი უფროსი ვერშინინი გესტუმრებათ.

(პიანინოს მიუჯდება.),

**ოლგა.** კეთილი და პატიოსანი, მობრძანდეს!

**ირინა.** ბებერია?

**ტუზენბახი.** არც ისე, დიდი-დიდი, ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა თუ იქნება (ჩუმად უკრავს.) რიგიანი კაცი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, უჭკუო რომ არ არის, ეს ცხადია. ისე, ბევრი ლაპარაკი უყვარს.

**ირინა.** საინტერესო ადამიანია?

**ტუზენბახი.** საკმაოდ. ოღონდ ჰყავს ცოლი, სიდედრი და ორი გოგონა, ეს მისთვის მეორე ცოლია. უყვარს სტუმრად სიარული და ყველას უცხადებს, — მყავს მეუღლე და ორი გოგონაო. თქვენც ამას გეტყვით. ისე, ცოლი მთლად ნორმალური არ უნდა ჰყავდეს. მოწაფესავით გრძელ ნაწნავს ატარებს, მაღალფარდოვნად ლაპარაკობს, ფილოსოფოსობს. რამდენჯერმე თავის მოკვლა სცადა. ეტყობა, ქმრის გამწარება უნდა. ასეთ ცოლს აქამდე რატომ ცხრაჯერ არ მივატოვე;,ბდი, ის კი ითმენს და გაუთავებლად წუწუნებს.

**სოლიონი** (დარბაზიდან ჩებუტიკინთან ერთად შე-

მოდის სასტუმროში). ცალი ხელით ფუთნახევარს ვწევ. ორივე ხელით ხუთიც ამიწევია და ექვსიც. ამის საფუძველზე ვამტკიცებ, რომ ორი ადამიანი ერთ ადამიანზე ორჯერ კი არა, სამჯერ და მეტჯერ უფრო ღონიერია.

ჩებუტიკინი (გაზეთს კითხულობს). თმის ცვენა თუ დაგეწყოთ, აიღეთ ორი მისხალი ნაფტალინი, გახსენით ნახევარ ბოთლ სპირტში და წაისვით ყოველდღე... (უბის წიგნაკში იწერს.) ჩავიწეროთ! (სოლიონის.) ჰოდა, იმას გეუბნებოდით... ბოთლს დაუცობთ საცობს. საცობში გაუყრით მინის მილს, მერე აიღებთ ცოტაოდენ ჩვეულებრივ, სრულიად ჩვეულებრივ შაბს და...

ირინა. ივან რომანიჩ, ძვირფასო ივან რომანიჩ!

ჩებუტიკინი. რა იყო, ჩემო გოგონა, ჩემო სიხარულო?

ირინა. მითხარით, გეთაყვა, რატომ ვარ დღეს ასე ბედნიერი? თითქოს ზღვის ტალღა მიმაქროლებდეს. თავზე უნაპირო ლურჯი ზეცა დამყურებდეს. ცის ლაჟვარდში კი დიდი თეთრი ფრინველები დასრიალებდნენ. რა მემართება, რატომ ვარ ასე?

ჩებუტიკინი (ორივე ხელს უკოცნის ნაზად). შენ თვითონ ხარ თეთრი ფრინველი...

ირინა. დღეს რომ გავიღვიძე, ავდექი და პირი დავიბანე, ერთბაშად მომეჩვენა, რომ ამქვეყნად ჩემთვის ყველაფერი ნათელია და ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო. ძვირფასო ივან რომანიჩ, მე ყველაფერს მივხვდი. ადამიანმა ვინც არ უნდა იყოს იგი უნდა იშრომოს და შრომის ოფლი ღვაროს. მარტო ამაში თუ ჰპოვებს თავის ცხოვრების აზრსა და მიზანს, თავის ბედნიერებასა და სიხარულს. ნეტა უბრალო ქვისმთლელი ვიყო, დილაადრიან რომ გადის სახლიდან და ქუჩაში მუშაობს, ან მწყემსი, ან მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს ასწავლის. ან რკინიგზის მემანქანე... ოღონდ საქმე მქონდეს. აბა, რისი მაქნისია ახალგაზრდა ქალი, რომელიც თორმეტ საათზე დგება, ლოგინში მიირთმევს ყავას და საათობით უნდება ჩაცმას... ეს ხომ საშინელებაა! დასიცხულ მწყურვალივითა ვარ, ოღონდ მე შრომა მწყურია. დაიხსომეთ, თუ მე, დღეის შემდეგ, დილაობით ადრე არ ავდგე ხოლმე და არ ვიშრომე, აღარ იმეგობროთ ჩემთან.

ჩებუტიკინი (ნაზად). აღარ ვიმეგობრებ! აღარ ვიმეგობრებ!

ოლგა. მამამ შვიდ საათზე ადგომას მიგვაჩვია. ირინა ახლაც შვიდზე იღვიძებს, მაგრამ ცხრა საათამდე არ დგება. წევს და ძალზე სერიოზული სახით რაღაცაზე ფიქრობს. (იცინის).

ირინა. ოცი წელი შემისრულდა და შენ ისევ ბავშვი გგონივარ. ამიტომაც გიკვირს ჩემი სერიოზული სახე.

ტუზენბახი. შრომის სურვილი! ო, ღმერთო ჩემო, რა კარგად მესმის თქვენი. მე ჩემს სიცოცხლეში არ მიშრომია. დავიბადე ცივ და უსაქმურ პეტერბურგში, უშრომელ და უზრუნველ ოჯახში. მახსოვს, კორპუსიდან შინ მობრუნებულს, ლაქია ჩექმებს რომ მხდიდა, ვჭირვეულობდი. დედაჩემი კი სასოებით შემომციცინებდა და ვერ გაეგო, რატომ უკვირდათ სხვებს ჩემი ჭირვეულობა. შრომას მარიდებდნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. დადგა დრო, რაღაც ვეება ძალა გვიახლოვდება. ცოტაც კიდევ და ამოვარდება ჯანსაღი, ძლიერი ქარიშხალი, გამოემართება ჩვენკენ, უკვე სულ ახლოსაა. მალე აღგვის პირისაგან მიწისა ჩვენი საზოგადოების უნიათო მოწყენილობას, უქნარობას, გულგრილობას, შრომის ზიზღს. მე შევუდგები შრომას, ხოლო ოცდახუთი-ოცდაათიოდე წლის შემდეგ იშრომებს ყველა, თითოეული ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩებუტიკინი. მე არ ვიშრომებ.

ტუზენბახი. თქვენ არც ჩამითვლიხართ სათვალავში.

სოლიონი. ღვთის წყალობით, ოცდახუთი წლის შემდეგ საერთოდ აღარ იქნებით, ორ-სამ წელიწადში ან სისხლი ჩაგექცევათ, ან მე დაგახლით შუბლში ტყვიას, ჩემო ანგელოზო. (ჯიბიდან სუნამოს იღებს და მკერდსა და ხელებზე იპკურებს.)

ჩებუტიკინი (იცინის). მართლაც, არასოდეს არაფერი მიკეთებია, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თითიც არ გამინძრევია. ერთი წიგნიც არ წამიკითხავს. გაზეთებს ვკითხულობ, ეგ არის და ეგ. (ჯიბიდან მეორე გაზეთს იღებს.) აი.. გაზეთებიდან ვიცი, რომ არსებობდა, მაგალითად, დობროლიუბოვი, მაგრამ რას წერდა — წარმოდგენაც არ მაქვს.

ქვედა სართულიდან იატაკს უკაკუნებენ.

ხედავთ, ქვევით მეძახიან, ეტყობა, ვიღაც მოვიდა ჩემთან. არ მოიწყინოთ! ახლავე დაგიბრუნდებით... (სწრაფად გადის, წვერის ვარცხნით.)

ირინა. რაღაცას ეშმაკობს!

ტუზენბახი. ნამდვილად ისეთი საზეიმო გამომეტყველებით გავიდა, უთუოდ საჩუქარს მოგართმევთ.

ირინა. ღმერთო ჩემო, რა საჭიროა!

ოლგა. პირდაპირ საშინელებაა... მომბეზრდა ეს გაუთავებელი სისულელეები!

მაშა. ზღვასთან მდგარი მწვანე მუხა,
ოქროს ჯაჭვი ზედ შებმული...

ოლგა. დღეს რაღაც გუნებაზე ვერა ხარ, მაშა!

მაშა ღიღინით იხურავს შლიაპას.

სად მიდიხარ?

მაშა. შინ.

ირინა. მაკვირვებ...

ტუზენბახი. ვის გაუგია დღეობის მიტოვება!

მაშა. რა მნიშვნელობა აქვს. საღამოს მოვალ. მშვიდობით, ჩემო კარგო... (ირინას კოცნის.) კიდევ ერთხელ გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას.. წინათ, მამა რომ ცოცხალი იყო მახსოვს, დღეობაზე, მუდამ ოცდაათი-ორმოცი ოფიცერი მაინც იყრიდა ჩვენთან თავს, იყო ერთი რია-რია და ჟრიამული... დღეს კი მხოლოდ კაცნახევარია და ისეთი სიჩუმეა, უდაბნოში მგონია თავი... წავედი.. .სევდამელანქოლიამ შემიპყრო. რა მემხიარულება... ნუ მომაქცევ ყურადღებას. (სიცილ-ტირილით.) სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი მშვიდობით, ძვირფასო, გავისეირნებ.

ირინა. (უკმაყოფილოდ). უცნაური ხარ!

ოლგა (ცრემლმორეული). მე მესმის შენი, მაშა!

სოლიონი. თუ მამაკაცი ფილოსოფოსობს, ეს ფილოსოფისტიკაა, ან სოფისტიკა, ხოლო თუ ერთი ან ორი ქალი ფილოსოფოსობს, მაშინ ღმერთმა დაგიფაროთ!

მაშა. რისი თქმა გსურთ ამით, დაუნდობელო ადამიანო?

სოლიონი. არაფრის. ვერც კი მოასწრო ორამდე დათვლა, უმალ თათებქვეშ მოიგდო დათვმა.

პაუზა.

მაშა (ოლგას უჯავრდება). ნუ ღრიალებ.

შემოდიან ანფისა და ფერაპონტი ტორტით ხელში.

ᲐᲜᲤᲘᲡᲐ. აქეთ, ჩემო კეთილო, შემოდი, სუფთა ფეხები გაქვს. (ირინას.) ერობის გამგეობის თავმჯდომარემ მიხაილ ივანიჩ პროტოპოპოვმა მოგართვათ... ეს ტორტი.

ᲘᲠᲘᲜᲐ. სასიამოვნოა. მადლობა გადაეცი. (ტორტს ჩამოართმევს.)

ᲤᲔᲠᲐᲞᲝᲜᲢᲘ. რაო?

ᲘᲠᲘᲜᲐ (ხმამაღლა). მადლობა გადაეცი-მეთქი.

ᲝᲚᲒᲐ. გადია, აჭამე ღვეზელი, ფერაპონტ, გაჭყევი, ღვეზელს გაჭმევენ.

ᲤᲔᲠᲐᲞᲝᲜᲢᲘ. რაო?

ᲐᲜᲤᲘᲡᲐ. წავიდეთ, ჩემო კეთილო, წავიდეთ... (ფერაპონტი და გადია გადიან.)

ᲛᲐᲨᲐ. არ მიყვარს ეს პროტოპოპოვი თუ ვიღაცა... რატომ მოიპატიჟე.

ᲘᲠᲘᲜᲐ. მე არ მომიპატიჟებია.

ᲛᲐᲨᲐ. სწორად მოქცეულხარ.

შემოდის ჩებუტიკინი, მას მოჰყვება ჯარისკაცი, ვერცხლის სამოვრით ხელში, გაოცებული და უკმაყოფილო შეძახილები.

ᲝᲚᲒᲐ (სახეზე ხელებს აიფარებს). სამოვარი! რა საშინელებაა.

(დარბაზში გადის, მაგიდისაკენ.)

ᲘᲠᲘᲜᲐ. ივან რომანიჩ, ძვირფასო, რა არის ეს?

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ (იცინის). ხომ გეუბნებოდით.

ᲛᲐᲨᲐ. ივან რომანიჩ, თქვენ, უბრალოდ, სულ დაკარგეთ სირცხვილი.

ᲩᲔᲑᲣᲢᲘᲙᲘᲜᲘ. ჩემო კარგებო, ჩემო საყვარლებო; ამქვეყნად თქვენზე ძვირფასი არავინ გამაჩნია. აგერაგერ სამოცი წლისა ვხდები, მოვხუცდი. მე ერთი მარტოხელა, ყოვლად უმაქნისი ბებერი ვარ... თქვენი სიყვარულის გარდა არავითარი სიკეთე არ მაბადია, თქვენ რომ არა, დიდი ხანია, ცოცხალიც აღარ ვიქნებოდი... (ირინას). ჩემო საყვარელო გოგონავ, მე დაბადებიდან გიცნობთ.. სულ ხელით გატარებდით. მე მიყვარდა განსვენებული დედათქვენი...

ᲘᲠᲘᲜᲐ. კი მაგრამ... რა საჭიროა ასეთი ძვირფასი საჩუქრები!

ᲩᲔᲑᲣᲢᲘᲙᲘᲜᲘ (ცრემლმორეული, გაჯავრებით). ძვირფასი საჩუქრები... ერთი თქვენც, (დენშჩიკს.) გაიტანე სამოვარი... (აჯავრებს.) ძვირფასი საჩუქრები...

დენშჩიკს დარბაზში გააქვს სამოვარი.

ᲐᲜᲤᲘᲡᲐ. (სასტუმრო ოთახის გავლით). ჩემო კარგებო, ვიღაც პოლკოვნიკი მოვიდა! უკვე პალტოც გაიხადა, თქვენთან მოდის, ირინუშკა, აბა, შენ იცი, ტკბილად შეხვდი, თავაზიანად... (მიდის.) დროა ისაუზმოთ... ღმერთო ჩემო...

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ. ალბათ, ვერშინინია.

შემოდის ვერშინინი.

პოლკოვნიკი ვერშინინი.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ (მაშას და ირინას). პატივი მაქვს, გაგეცნოთ. ვერშინინი. ერთობ მოხარული ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მეღირსა თქვენთან მოსვლა. ღმერთო ჩემო, რა ხნვანაირები ხართ!

ᲘᲠᲘᲜᲐ. დაბრძანდით, ძალიან გაგვახარეთ.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ (მხიარულად). როგორ მიხარია, როგორ მიხარია. მაგრამ თქვენ ხომ სამნი ხართ. მე სამი გოგონა მახსოვს. მართალია, სახეები დამავიწყდა, მაგრამ მამათქვენს, პოლკოვნიკ პროზოროვს რომ სამი პატარა გოგონა ჰყავდა, ეს ჩინებულად მახსოვს, მინახიხართ კიდეც. როგორ გარბის დრო! ო, როგორ გარბის დრო!

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ. ალექსანდრ იგნატიევიჩი მოსკოვიდან ჩამოვიდა.

ᲘᲠᲘᲜᲐ. მოსკოვიდან, მოსკოვიდან ჩამოხვედით?

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. დიახ, განსვენებული მამათქვენის ბატარეის ერთ-ერთი ბრიგადის ოფიცერი გახლდით. (მაშას.) აი თქვენი სახე, მგონი, ცოტათი მაგონდება.

ᲛᲐᲨᲐ. მე კი არ მახსოვხართ.

ᲘᲠᲘᲜᲐ. ოლია! ოლია! (დარბაზისკენ გასძახებს.) ოლია, აბა, აქ მოდი.

შემოდის ოლგა.

პოდპოლკოვნიკი ვერშინინი თურმე მოსკოვიდან ჩამოსულა.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. მაშასადამე, თქვენ უფროსი ხართ, ოლგა სერგეევნა, თქვენ კი, მარია... თქვენ — ირინა, უმცროსი.

ᲝᲚᲒᲐ. მოსკოვიდან ჩამოხვედით?

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. დიახ. მოსკოვში ვსწავლობდი და სამსახურიც მოსკოვში დავიწყე, დიდხანს ვიმსახურე იქ, ბოლოს აქ ჩამაბარეს ბატარეა, და როგორც ხედავთ, გადმოვედი. სიმართლე გითხრათ, თქვენ არ მახსოვხართ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ სამნი იყავით. მამათქვენს კი რა დამავიწყებს, თვალი რომ დავხუჭო, სულ ცოცხალივით წარმომიდგება. მოსკოვში ნამყოფიც ვარ თქვენთან!..

ᲝᲚᲒᲐ. მეგონა, ყველა მახსოვდა... თურმე...

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. ალექსანდრ იგნატიევიჩი,..

ᲘᲠᲘᲜᲐ. ალექსანდრ იგნატიევიჩ, ესე იგი, მოსკოვიდან ჩამობრძანდით. აი, მოულოდნელი ამბავი!

ᲝᲚᲒᲐ. ჩვენ კი მოსკოვში გადავდივართ.

ᲘᲠᲘᲜᲐ. შემოდგომისთვის ალბათ უკვე იქ ვიქნებით. მოსკოვი ჩვენი მშობლიური ქალაქია, იქ დავიბადეთ... სტარო ბასმანაიას ქუჩაზე...

ორივე გახარებული იცინის.

ᲛᲐᲨᲐ. რა მოულოდნელობაა, (ცოცხლად.) გამახსენდა! გახსოვს, ოლია, ერთ შეყვარებულ მაიორზე ლაპარაკობდნენ ხშირად, მაშინ პორუჩიკის ჩინი გქონდათ, შეყვარებული იყავით და რატომღაც გამოსაჯავრებლად მაიორს გეძახდნენ...

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ (იცინის). მართალი ხართ... შეყვარებულ მაიორს მეძახდნენ...

ᲛᲐᲨᲐ. მაშინ მხოლოდ ულვაში გქონდათ... როგორ დაბერებულხართ! (ცრემლმორეული.) როგორ დაბერებულხართ!

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. დიახ. შეყვარებულ მაიორს როცა მეძახდნენ, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, შეყვარებული გახლდით. წარვიდნენ დრონი.

ᲝᲚᲒᲐ. მაგრამ თმაში სულ არ გირევიათ თეთრი. წლები მოგემატათ, თორემ სიბერე ჯერ შორს არის.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. ასეა თუ ისე, ორმოცდამესამე წელში გადავდექი. დიდი ხანია, რაც მოსკოვიდან წამოხვედით?

ᲘᲠᲘᲜᲐ. თერთმეტი წელია. (მაშას.) რა გატირებს, შე სულელო, (ცრემლმორეული.) გაჩუმდი, თორემ, მეც ავტირდები...

ᲛᲐᲨᲐ. სულაც არ ვტირი. რომელ ქუჩაზე ცხოვრობდით?

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. სტარო ბასმანაიაზე.

**ᲝᲚᲒᲐ.** ჩვენც იქ ვცხოვრობდით.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** ერთხანს გერმანელების ქუჩაზე ვცხოვრობდი. იქიდან დავდიოდი კრასნიე კაზარმიზე. გზად ერთი პირქუში ხიდია გახავლელი, ხიდქვეშ ერთი მდინარე ხმაურობს და მარტოხელა კაცს გულს უწვრილებს.

პაუზა.

აქ კი რა ფართო, რა წყალუხვი მდინარეა! დიდებულია!

**ᲝᲚᲒᲐ.** სამაგიეროდ აქ ცივა, ცივა და კოღოებიც იცის...

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** რას ბრძანებთ! აქ ისეთი ჯანსაღი, კარგი, სლავური ჰავაა. ტყე, მდინარე... არყის ხეები აქაც არის.. საყვარელი, მშვიდი ხეები... არყის ხე ყველა ხეს მირჩევნია. აქ ცხოვრებას რა სჯობია? ერთი გამკვირვებია, რკინიგზის სადგური აქედან ოცი ვერსზეა და კაცმა არ იცის — რატომაა ასე...

**ᲡᲝᲚᲘᲝᲜᲘ.** მე ვიცი, რატომაც არის.

ყველა მას მიაჩერდება.

იმიტომ რომ, სადგური რომ ახლოს ყოფილიყო, შორს არ იქნებოდა, ხოლო რაკი შორსაა, ახლოს არ არის.

უხერხული სიჩუმე.

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ.** დიდი ოხუნჯი ბრძანდებით, ვასილი ვასილიჩ.

**ᲝᲚᲒᲐ.** იცით, მეც გამახსენდით.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** მე დედათქვენსაც ვიცნობდი.

**ᲩᲔᲑᲣᲢᲘᲙᲘᲜᲘ.** რა ქალი იყო, ღმერთმა გაანათლოს.

**ᲘᲠᲘᲜᲐ.** დედა მოსკოვშია დაკრძალული.

**ᲝᲚᲒᲐ.** ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე.

**ᲛᲐᲨᲐ.** წარმოიდგინეთ, თანდათან მავიწყდება მისი სახე. ასევე დაგვივიწყებენ ჩვენც. გაივლის დრო და ყველას დავავიწყდებით.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** დიახ, დავავიწყდებით. რა გაეწყობა, ასეთია ადამიანის ბედი. დადგება დრო და, ის, რაც დიდ, სერიოზულ, მნიშვნელოვან ამბად მიგვაჩნია დღეს, დავიწყებას მიეცემა ან აზრს დაკარგავს.

პაუზა.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩვენ ახლა იმის წარმოდგენაც არ შეგვიძლია, მომავალი რას მიიჩნევს, სახელდობრ, ამაღლებულად, მნიშვნელოვნად და რას ჩათვლის უბადრუკად და სასაცილოდ. კოპერნიკის ან კოლუმბის აღმოჩენა თავიდან უსარგებლო და სასაცილო ეჩვენებოდა ხალხს, სამაგიეროდ, რამდენი აზიზრებული კაცის მონაჩმახი ჩაუთვლია ჭეშმარიტებად, ვინ იცის, იქნებ ჩვენი ახლანდელი ცხოვრებაც, დღესდღეობით რომ ვეგუებით, მომავალ თაობას საკმაოდ უბერგილო, უგონო და ცოდვილ ცხოვრებადაც კი მოეჩვენოს.

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ.** ვინ იცის? არც ის არის გამორიცხული, რომ მომავალმა თაობამ ჩვენს ცხოვრებას ამაღლებული უწოდოს და მოწიწებითაც მოიხსენიოს. დღეს აღარავის აწამებენ, არც სიკვდილით სჯიან, აღარავინ გვარბევს, მაგრამ ირგვლივ მაინც უამრავი ხალხი იტანჯება.

**ᲡᲝᲚᲘᲝᲜᲘ** (წვრილი ხმით). ჯუ, ჯუ, ჯუ... ბარონი, გინდა, შიმშილით მოკალი, ოღონდ აფილოსოფოსე.

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ.** ვასილი ვასილიჩ, დამანებეთ თავი... (გადაჯდება სხვა ადგილას.) მომბეზრდა თქვენი ხუმრობა.

**ᲡᲝᲚᲘᲝᲜᲘ** (წვრილი ხმით). ჯუ, ჯუ, ჯუ...

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ** (ვერშინინს). დღეს რომ ადამიანები უსაზღვროდ იტანჯებიან, ჩვენ ამას საკუთარი თვალითაც ვხედავთ, ეს გარკვეულ ზნეობრივ ამაღლებას მოწმობს, რასაც უკვე მიაღწია საზოგადოებამ...

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** დიახ, დიახ, რა თქმა უნდა.

**ᲩᲔᲑᲣᲢᲘᲙᲘᲜᲘ.** ბატონო, თქვენ ეს-ეს არის ბრძანეთ, რომ ჩვენს ცხოვრებას მომავალში ამაღლებულს უწოდებენ, მაგრამ ადამიანები მდაბალნიც არიან (დგება.) აი, შემომხედეთ, რა დაბალი ვარ. ალბათ, ჩემს დასამშვიდებლად თუ ამბობთ, რომ ჩემი ცხოვრება ამაღლებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულისებიდან ვიოლინოს ხმა ისმის.

**ᲛᲐᲨᲐ.** ანდრეი უკრავს.

**ᲘᲠᲘᲜᲐ.** ნასწავლი ძმა გვყავს. ალბათ პროფესორობას მიაღწევს. მამა სამხედრო იყო, მისმა ვაჟმა კი სამეცნიერო კარიერა აირჩია.

**ᲛᲐᲨᲐ.** მამას უნდოდა ასე.

**ᲝᲚᲒᲐ.** დღეს მთელი დღეა დავცინით. მგონი გატაცებულია.

**ᲘᲠᲘᲜᲐ.** ერთი აქაური ქალიშვილი მოსწონს. ალბათ დღეს გვესტუმრება.

**ᲛᲐᲨᲐ.** უცნაურად იცვამს. ცუდად ან ძველმოდურად, ვერ იტყვი, მაგრამ რაღაცნაირად საცოდავად აცვია. ერთი ქვედატანი აქვს, სასწაულად მყვირალა ყვითელი ფოჩებით გაწყობილი. ზემოთ წითელ კოფთას იცვამს ხოლმე. ისეთი გადარეცხილი სახე აქვს... ანდრეის, რა თქმა უნდა, არ უყვარს, ამას ვერც კი წარმოვიდგენ, უგემოვნებო კაცი არ არის. ჩვენს ჯიბრზე ერთობა, გუშინ ყური მოვკარი, პროტოპოპოვზე თხოვდებაო. აქაური გამგეობის თავმჯდომარეზე. ჰოდა, ძალიანაც კარგი. (გასძახებს.) ანდრეი, წუთით გამოდი, ძვირფასო!

შემოდის ანდრეი.

**ᲝᲚᲒᲐ.** ეს ჩემი ძმაა, ანდრეი.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** ვერშინინი.

**ᲐᲜᲓᲠᲔᲘ.** პროზოროვი. (გაოფლილ სახეს იწმენდს). თქვენ აქ, ჩვენთან ბატარეის უფროსად ჩამობრძანდით?

**ᲝᲚᲒᲐ.** წარმოიდგინე, ალექსანდრ იგნატიჩი მოსკოვიდანაა.

**ᲐᲜᲓᲠᲔᲘ.** მართლა? მაშ, მოგილოცავთ. ახლა ჩემი დები აღარ მოგასვენებენ.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** პირიქით, მე თვითონ მოვაბეზრე უკვე თავი.

**ᲘᲠᲘᲜᲐ.** ნახეთ, როგორი ჩარჩო მაჩუქა დღეს ანდრეიმ პორტრეტისათვის. (უჩვენებს ჩარჩოს.) თავისი ხელით გააკეთა.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ** (უყურებს ჩარჩოს და არ იცის, რა თქვას). ჰო... კარგია.

ანდრეი ხელს ჩაიქნევს და განზე გადგება.

**ᲝᲚᲒᲐ.** ჩვენი ანდრეი მეცნიერია, ვიოლინოზე უკრავს, ხეზე კვეთაც ეხერხება, — ერთი სიტყვით, დიდი ხელმარჯვე ოსტატი გვყავს, ანდრეი, არ წახვიდე, რა იცის ეს, ერთბაშად ადგება და წავა. მოდი აქ!

მაშა და ირინა ხელს გაუყრიან და სიცილით უკან აბრუნებენ.

**ᲛᲐᲨᲐ.** მოდი აქ, მოდი!

**ᲐᲜᲓᲠᲔᲘ.** თავი დამანებეთ!

**ᲛᲐᲨᲐ.** რა სასაცილო ხარ! ალექსანდრ იგნატიევიჩს ოდესღაც შეყვარებულ მაიორს ეძახდნენ, მაგრამ მას სულაც არ ხწყინდა.

ვერშინინი. მართალი ხართ, არ მწყინდა.

მაშა. მე კი მინდა შეყვარებული მევიოლინე დაგიძახო!

ირინა. ან შეყვარებული პროფესორი!

ოლგა. უყვარს! ანდრიუშა შეყვარებულია!

ირინა (ტაშს უკრავს). ბრავო, ბრავო, ბის! ანდრიუშკა შეყვარებულია!

ჩებუტიკინი (უახლოვდება ანდრეის უკნიდან და ორივე ხელს წელზე შემოხვევს). სიყვარულისთვის მოგვავლინა ქვეყნად განგებამ. (ხარხარებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელში გაზეთი უჭირავს.)

ანდრეი. კმარა, კმარა... (სახეს იწმენდს.). მთელი ღამე არ მიძინია, ცოტა უგუნებოდ ვარ. ოთხ საათამდე ვკითხულობდი. მერე დავწექი, მაგრამ ვერ დავიძინე. ათას რამეზე ვფიქრობდი... ამასობაში გათენდა კიდეც, მზე პირდაპირ ჩემს საწოლს ადგება ხოლმე... მინდა ამ ზაფხულს ერთი წიგნი ვთარგმნო ინგლისურიდან.

ვერშინინი. იცით ინგლისური?

ანდრეი. დიახ, მამამ, ღმერთმა გაანათლოს, პირდაპირ სული ამოგვხადა თავისი აღზრდით. ალბათ სისულელეა და სასაცილოც. მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ წონაში მატება დავიწყე და ამ ერთ წელიწადში ძალიან გავსუქდი. თითქოს ჩემი სხეული ჩაგვრისგან გათავისუფლდა. მამას წყალობით, მე და ჩემმა დებმა ფრანგულიც ვიცით, გერმანულიც და ინგლისურიც, ირინამ იტალიურიც კი იცის. მაგრამ, ნეტა იცოდეთ, რა ფასად დაგვიჯდა ეს!

მაშა. ამ ქალაქში სამი ენის ცოდნა გამოუსადეგარი ფუფუნებაა. უფრო მეტიც — რუდიმენტია, მეექვსე თითის მსგავსი რაღაც. ჩვენ ბევრი რამ ზედმეტი ვიცით.

ვერშინინი (იცინის). ბევრი რამ ზედმეტი ვიცით! ჩემი აზრით, არ არსებობს და შეუძლებელიცაა არსებობდეს ისეთი მოსაწყენი და უსიცოცხლო ქალაქი, ჭკვიანი და განათლებული ადამიანები რომ არ სჭირდებოდეს. დავუშვათ, რომ ამ ქალაქის მართლაც ბნელ და ხეპრე მოსახლეობას შორის, რომლის რიცხვი ასი ათასს უდრის, თქვენნაირი მხოლოდ სამია. თავისთავად ცხადია, თქვენ ვერ მოერევით ამ ბნელ მასას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში თანდათანობით, იძულებული გახდებით, დაჰყვეთ ასიათასიანი ბრბოს ნებას და ჩაიკარგოთ მასში. ესე იგი, ცხოვრება ჩაგახშობთ, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოგსპობთ. თქვენ მაინც შეძლებთ ვილაცაზე გავლენა მოახდინოთ. ამგვარად თქვენ შემდეგ გაჩნდება ექვსი თქვენნაირი, შემდეგ თორმეტი და ასე შემდეგ, ვიდრე საბოლოოდ უმრავლესობად არ იქცევით. ორასი, სამასი წლის შემდეგ ცხოვრება დედამიწაზე წარმოუდგენლად მშვენიერი, განსაცვიფრებელი გახდება. ადამიანს სჭირდება ასეთი ცხოვრება და თუ ჯერ არა აქვს, წინასწარ მაინც უნდა გრძნობდეს, უნდა ელოდოს, ოცნებობდეს მასზე, ემზადებოდეს მის შესახვედრად. ამისათვის კი თავის მამა-პაპაზე მეტს უნდა ხედავდეს, მეტი უნდა იცოდეს (იცინის.) თქვენ კი წუწუნებთ, ბევრი რამ ზედმეტი ვიცითო.

მაშა (შლიაპას იხდის). მე ვრჩები.

ირინა (ამოოხვრით). ღმერთმანი, უნდა ჩამეწერა.
ანდრეი შეუმჩნევლად გავიდა.

ტუზენბახი. თქვენ ამბობთ, რომ მრავალი წლის შემდეგ დედამიწაზე დიდებული, განსაცვიფრებელი ცხოვრება იქნებაო. მართალი ხართ. მაგრამ ამ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, აქედანვე, თუნდაც ასეთი შორი მანძილიდან უნდა დავიჭიროთ თადარიგი. უნდა ვიშრომოთ.

ვერშინინი (დგება). დიახ, [illegible] (აქეთ-იქით იყურება.) შესანიშნავი ბინა გაქვთ. მშურს. მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე ხოროებში გავატარე, ავეჯიც არ მღირსებია, ღუმელიც მუდამ ისეთი მაქვს, კვამლი გვახრჩობს; სწორედ ასეთი ყვავილები მაკლდა ყოველთვის (ხელებს მოისრესს.) ეჰ! აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი.

ტუზენბახი. დიახ, მუშაობაა საჭირო. ალბათ ფიქრობთ, რამ აუჩუყა გული ამ გერმანელსო, მაგრამ, ღმერთმანი, მე რუსი ვარ, გერმანული არც კი ვიცი. მამაჩემი მართლმადიდებელია.

პაუზა.

ვერშინინი (აქეთ-იქით დადის). ხშირად ვფიქრობ: რა იქნება, კაცმა რომ ცხოვრება თავიდან დაიწყოს, შეგნებულად რომ დაიწყოს თავიდან ყველაფერი? ერთხელ განვლილი ცხოვრების გადათეთრება რომ შეიძლებოდეს, მაშინ თითოეული ჩვენთაგანი, ჩემი აზრით, პირველ რიგში არ იცხოვრებდა ისე, როგორც იცხოვრა, შეეცდებოდა სრულიად სხვაგვარი გარემო შეექმნა, მოეწყო თქვენნაირი ნათელი და ყვავილებიანი ბინა, მე ცოლი და ორი გოგონა მყავს, ცოლი მთლად ჯანმრთელი ქალი არ არის და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ... ასე რომ, ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, ცოლს, რა თქმა უნდა, არ შევირთავდი. არავითარ შემთხვევაში არ შევირთავდი.

შემოდის კულიგინი. მას მასწავლებლის ფრაკი აცვია.

კულიგინი (ირინასთან მიდის). ძვირფასო დაო, ნება მომეცი გულწრფელად მოგილოცო დღეობა, სულითა და გულით გისურვო ჯანმრთელობა და ყოველივე ის, რაც კი შეიძლება კაცმა უსურვოს შენი წლოვანების ქალიშვილს. ამასთანავე, საჩუქრად მოგართვა აი, ეს წიგნი. (უწვდის წიგნს.) ჩვენი გიმნაზიის ორმოცდაათი წლის ისტორია. ავტორი მე ვარ. დიდი არაფერია, მოცალეობის ჟამსაა დაწერილი, მაგრამ მაინც წაიკითხე. მოგესალმებით, ბატონებო! (ვერშინინს.) კულიგინი, აქაური გიმნაზიის მასწავლებელი გახლავართ. კარის მრჩეველი. (ირინას.) ამ წიგნში ყველას სახელია შეტანილი, ვინც კი ჩვენი გიმნაზია დაამთავრა ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში. Feci, guod potui faciant melorua potentes! (კოცნის მაშას).

ირინა. შენ ხომ სააღდგომოდ მაჩუქე ეს წიგნი.

კულიგინი (იცინის). რას მეუბნები! მაშინ დამიბრუნე, ან უმჯობესია პოლკოვნიკს მიართვა. ინებეთ, პოლკოვნიკო, როცა მოიცლით, წაიკითხეთ.

ვერშინინი. გმადლობთ, (წასვლას აპირებს.). დიდად მოხარული ვარ, რომ გაგიცანით...

ოლგა. უკვე მიბრძანდებით? არა, არ გაგიშვებთ!

ირინა. დარჩით, ჩვენთან ისაუზმეთ, გთხოვთ!

ოლგა. ძალიან გთხოვთ.

---

1 მე რაც შემეძლო, ის გავაკეთე, სხვამ უკეთესი გააკეთოს, თუ შეუძლია. (ლათ.)

ვერშინინი (თავს უკრავს). ჩანს დღეობაზე მოვხვდი. მაპატიეთ, არ ვიცოდი, არ მოგილოცეთ... (ოლგასთან ერთად დარბაზისაკენ მიემართება.)

კულიგინი. ბატონებო, დღეს კვირა დღეა, დასვენების დღე. ჩვენც დავისვენოთ და ვიმხიარულოთ ისე, როგორც ჩვენს ასაკსა და მდგომარეობას შეეფერება. ზაფხულის მოსვლამდე ნოხებია ასაკეცი და ზამთრამდე უნდა შევინახოთ... თან სპარსული ფხვნილი ან ნაფტალინი უნდა მოვაყაროთ... ჯანსაღები იყვნენ რომაელები, იმიტომ რომ შრომაც იცოდნენ და დასვენებაც. Mens sana in corpore sano[2]. მათი ცხოვრება დადგენილ კალაპოტში მიემართებოდა. ჩვენი დირექტორი ამბობს ხოლმე: ყველანაირ ცხოვრებაში მთავარი კალაპოტიაო... ის, რაც კალაპოტს სცილდება, აღარ არსებობს. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ასე ხდება. (მაშას წელზე მოხვევს ხელს, იცინის). მე ჩემს ცოლს ვუყვარვარ. დღეს კარგ, შესანიშნავ გუნებაზე ვარ. მაშა, დღეს ოთხ საათზე დირექტორთან უნდა ვიყოთ. ყველა პედაგოგი ოჯახიანად მიგვიწვიეს გასასეირნებლად.

მაშა. მე არ წამოვალ.

კულიგინი (წყენით). რატომ, ძვირფასო?

მაშა. ამაზე მერე... (გაჯავრებული.) კარგი, წამოვალ, ახლა დამანებე თავი...

კულიგინი. სეირნობის შემდეგ დირექტორთან მივდივართ და საღამოს მასთან გავატარებთ. საოცარი კაცია, სულ ავადმყოფობს, მაგრამ მაინც ცდილობს, პირველყოვლისა, საზოგადოებაში იტრიალოს. საუცხოო, ნათელი პიროვნებაა. გუშინ სხდომის შემდეგ მეუბნება: „დავიღალე, ფიოდორ ილიჩ! დავიღალე! (კედლის საათს შეხედავს, მერე თავისას დახედავს.) თქვენი საათი შვიდი წუთით გარბის. დიახ, ამბობს, დავიღალეო.

ისმის ვიოლინოს ხმა.

ოლგა. ბატონებო, სუფრასთან მობრძანდით!

კულიგინი. აჰ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ოლგა. გუშინ დილიდან ღამის თერთმეტ საათამდე ვიმუშავე. დავიღალე, სამაგიეროდ დღეს თავს ბედნიერად ვგრძნობ. (დარბაზისკენ გაემართება.) ჩემო ძვირფასო...

ჩებუტიკინი (გაზეთს ჯიბეში იდებს, წვერს ივარცხნის). ჩინებულია!

მაშა (ჩებუტიკინს მკაცრად). წვეთი არ დალიოთ, დღეს, გესმით ჩემი? გაწყენთ.

ჩებუტიკინი. ეე, მე უკვე აღარა ვსვამ. ორი წელია არ დამილევია. (მოუთმენლად.) ჩემო კეთილო, ყველაფერი სულ ერთია!

მაშა. არ გაბედოთ, არც მიეკაროთ! (გაჯავრებით, მაგრამ ისე, რომ ქმარმა არ გაიგონოს). ჯანდაბას, რა გამაძღლებინებს მთელი საღამო დირექტორთან, ხომ გამოვყრუვდი!

ტუზენბახი. მე კი თქვენს ადგილზე უბრალოდ არ წავიდოდი... მორჩა და გათავდა.

ჩებუტიკინი. არ წახვიდეთ, ჩემო კარგო.

მაშა. ჩემი ნება რომ იყოს! ესეც თუ სიცოცხლეა?! (დარბაზისაკენ გაემართება.)

ჩებუტიკინი (უკან მიჰყვება). კარგით ერთი!

სოლიონი (მიდის დარბაზისაკენ)... ჯუ, ჯუ, ჯუ...

ტუზენბახი. კმარა, ვასილი ვასილიჩ, გეყოფათ!

სოლიონი. ჯუ, ჯუ, ჯუ...

კულიგინი (მხიარულად). თქვენ გაგიმარჯოთ, პოლკოვნიკო, თქვენი მონა-მორჩილი, მე პედაგოგი ვარ, ამ ოჯახის შინაური კაცი... მაშას ქმარი... მაშა კეთილია, ძალიან კეთილი...

ვერშინინი. მე ამ მღვრიე არაყს დავლევ... (სვამს.) გაგიმარჯოთ! (ოლგას.) საოცრად კარგად ვიგრძენი თავი აქ...

სასტუმროში მხოლოდ ირინა და ტუზენბახი რჩებიან.

ირინა. მაშა დღეს უგუნებოდაა. თვრამეტი წლის გათხოვდა, მაშინ მის ქმარზე ჭკვიანი ქვეყნად არავინ ეგონა. ახლა სხვაგვარად ფიქრობს. მართალია ფიოდორი, ყველაზე კეთილი კაცია, მაგრამ ყველაზე ჭკვიანი არ არის.

ოლგა (მოუთმენლად). ანდრეი, ბოლოს და ბოლოს, მოხვალ თუ არა?

ანდრეი (სცენის იქიდან). ახლავე. (შემოდის და მაგიდისკენ მიდის.)

ტუზენბახი. რაზე ფიქრობთ?

ირინა. რა ვიცი.. არ მიყვარს ეგ თქვენი სოლიონი. მეშინია კიდეც მისი. ისეთ სისულელეს იტყვის ხოლმე.

ტუზენბახი. უცნაური კაცია. გული შემტკივა და მეცოდება კიდეც. ვერ წარმოიდგენთ, როგორი გონიერი და თბილი ადამიანია, როცა მარტონი ვართ ხოლმე. საზოგადოებაში კი რატომღაც უხეშად და გამომწვევად იქცევა. ვფიქრობ, სიმორცხვისაგან ემართება ასე. არ წახვიდეთ, ჯერ სხვები დასხდნენ. მომეცით საშუალება, თქვენთან ერთად ვიყო. რაზე ფიქრობთ?

პაუზა.

თქვენ ოცი წლისა ხართ, მე ჯერ ოცდაათი არ შემსრულებია. წინ კიდევ უსასრულო გზაა — ჩემი თქვენდამი სიყვარულით სავსე წლების დაუსრულებელი ქარავანი...

ირინა. ნიკოლაი ლვოვიჩ, მოდით, სიყვარულზე ნუ ვილაპარაკებთ.

ტუზენბახი (ყურს არ უგდებს). სიცოცხლის, ბრძოლის, შრომის უზომო სურვილი მომეძალა. მხოლოდ ეს სურვილი და თქვენი სიყვარული მივსებს სულს. თქვენც, ირინა, თითქოს ჩემს ჯიბრზე ხართ ასეთი მშვენიერი.. ცხოვრებაც რა უჩვეულოდ მშვენიერი მეჩვენება. რაზე ფიქრობთ?

ირინა. ცხოვრება მშვენიერიაო, არა? კეთილი, მაგრამ თუ მხოლოდ გვეჩვენება? ჩვენ, სამ დას, ჯერ მშვენიერი ცხოვრება არ გვინახავს. ცხოვრება ჯერჯერობით სარეველა ბალახივით გვებლანდება ფეხებში... ცრემლი მომერია... ეს კი ზედმეტია... (სახეს იწმენდს, იღიმება.) შრომა რომ არ ვიცით, იმიტომაც ვართ მოწყენილები, იმიტომ გვეჩვენება ცხოვრება ასეთი პირქუში... ჩვენ ხომ შრომის მოძულეთა ნაშიერები ვართ...

შემოდის ნატალია ივანოვნა, ვარდისფერი კაბა აცვია, ზედ მწვანე ქამარი უკეთია.

ნატაშა. უკვე სხდებიან... დავიგვიანე... (გავლით სარკეში ჩაიხედავს.) არა მიშავს, (დაინახავს ირინას.) ძვირფასო ირინა სერგეევნა, მომილოცავს! (მაგრად და დიდხანს კოცნის.) ბლომად სტუმარი გყოლიათ.

2 ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია (ლათ.)

მართალი გითხრათ, მერიდება. გამარჯობათ, ბატონო!

**ოლგა** (შემოდის სასტუმროში). ნატალია ივანოვნა! რას ჰგავს, ჩემო კარგო...

ერთმანეთს კოცნიან.

**ნატაშა.** ირინას დღეობას გილოცავთ. იმოდენა საზოგადოება გყავთ, საშინლად მეუხერხულება...

**ოლგა.** კარგი ერთი, შინაურები არიან. (ხმადაბლა, შეცბუნებული.) რად გინდოდათ ეს მწვანე ქამარი! რას ჰგავს, ჩემო კარგო...

**ნატაშა.** რაიმე ცუდს ხომ არ მოასწავებს?

**ოლგა.** არა, უბრალოდ, არ გიხდებათ... უცნაურია...

**ნატაშა** (ცრემლნარევი ხმით). მართლა? მაგრამ ეს ხომ მწვანე არ არის, ეს უფრო მქრქალი ფერისაა. (ოლგას დარბაზში მიჰყვება.). დარბაზში უკვე სუფრას უსხდებიან. სასტუმრო ცარიელდება.

**კულიგინი.** კარგ საქმროს გისურვებ, ირინა, დროა, გათხოვდე.

**ჩებუტიკინი.** ნატალია, ივანოვნა, თქვენც გისურვებთ საქმროს.

**კულიგინი.** ნატალია ივანოვნას უკვე ჰყავს საქმრო.

**მაშა.** ერთ ჭიქას მეც დავლევ! ეს არაფერს დააკლებს ჩვენს ბედნიერ ყოფას.

**კულიგინი** (მაშას). დღეს ყოფაქცევაში სამი გეკუთვნის, მინუსით...

**ვერშინინი.** სასიამოვნო სასმელია. რისია?

**სოლიონი.** ხოჭოების.

**ირინა** (ცრემლნარევი ხმით). ფუჰ, ფუჰ! რა საზიზღრობაა!..

**ოლგა.** ვახშმად შემწვარ ინდაურს და ვაშლის ნამცხვარს მოგართმევთ. მადლობა ღმერთს, დღეს მთელი დღე შინ ვარ, საღამოც თავისუფალი მაქვს... ბატონებო, გეწვიეთ საღამოს...

**ვერშინინი.** თუ ნებას მომცემთ, მეც მოვალ!

**ირინა.** მობრძანდით!

**ნატაშა.** აქ უბოდიშოდ შეგიძლიათ მოხვიდეთ!

**ჩებუტიკინი.** სიყვარულისთვის მოგვავლინა ქვეყნად ბუნებამ! (იცინის).

**ანდრეი** (გაჯავრებული). კმარა, ბატონებო! ნუთუ არ მოგბეზრდათ?

ფედოტიკს და როდეს ყვავილების დიდი კალათა შემოაქვთ.

**ფედოტიკი.** უკვე საუზმობენ.

**როდე** (ხმამაღლა და ენის ბორძიკით). საუზმობენ? ჰო, უკვე საუზმობენ.

**ფედოტიკი.** ერთი წამით! (სურათს იღებს.) ერთიც! ცოტაც მოიცა, ესეც ორი! არის!

კალათა დარბაზში შეაქვთ მათ ჟრიამულით ხვდებიან.

**როდე** (ხმამაღლა). მოგილოცავს, ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ, მშვენიერი ამინდია დღეს, პირდაპირ დიდებული. მთელი დღეა გიმნაზიელებთან ერთად ვსეირნობდი. მე გიმნაზიაში ტანვარჯიშს ვასწავლი...

**ფედოტიკი.** თავისუფლად, თავისუფლად, ირინა სერგეევნა! (სურათს იღებს.) შესანიშნავად გამოიყურებით. (ჯიბიდან ბზრიალას ამოიღებს.). აი, ბზრიალა... საოცარი ხმა აქვს.

**ირინა.** კარგია?

**მაშა.** ზღვასთან მდგარი მწვანე მუხა, ოქროს ჯაჭვი ზედ შებმული... ერთთავად ამ სტრიქონებს ვიმეორებ. (წუწუნით.) დილიდან ამეკვიატა...

**კულიგინი.** სუფრასთან ცამეტნი ვართ.

**როდე.** (ხმამაღლა). თქვენ რა, ბატონებო, გეშინიათ ცამეტის?

იცინიან.

**კულიგინი.** ნათქვამია, სუფრას რომ ცამეტი კაცი უზის, უსათუოდ შეყვარებული წყვილი ურევიაო. თქვენ ხომ არა ხართ ერთ-ერთი, ივან რომანოვიჩ? აი, სეირი...

იცინიან.

**ჩებუტიკინი.** ვაღიარებ, მე ბებერი ცოდვილი ვარ, მაგრამ ნატალია ივანოვნა რატომ წამოწითლდა, იგ ვერ გამიგია.

საერთო სიცილი. ნატაშა დარბაზიდან სასტუმრო ოთახში გავარდება. მას ანდრეი გაედევნება.

**ანდრეი.** თუ ღმერთი გწამთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მოითმინეთ, შეჩერდით, გემუდარებით...

**ნატაშა.** შემრცხვა... თვითონაც არ ვიცი, რა მემართება და ეგენი კიდევ მამასხრებენ... ვიცი, სუფრის მიტოვება უზრდელობაა, მაგრამ ვერ გავძელი... არ შემიძლია... (სახეზე ხელებს იფარებს.).

**ანდრეი.** ჩემო ძვირფასო, გემუდარებით, ნუ ინერვიულებთ. გარწმუნებთ, ხუმრობენ, კეთილი გულით ხუმრობენ. ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ყველა ისეთი კეთილია, გულიანი. ჩვენ მათ ვუყვარვართ და სიყვარულით გვეხმარებიან აქ მოდით, ფანჯარასთან, აქედან ვერ დაგვინახავენ... (აქეთ-იქით იყურება.)

**ნატაშა.** საზოგადოებაში ყოფნას არ ვარ მიჩვეული.

**ანდრეი.** ო, სიყმაწვილევ! საოცარო, მშვენიერო სიყმაწვილევ! ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო, ნუ ღელავთ ასე!.. მერწმუნეთ, არაჩვეულებრივად კარგად ვგრძნობ თავს, გული სიყვარულითა და აღტაცებით ამევსო... ვერ გვხედავენ! ვერა! რატომ ან რისთვის შემიყვარდით, როდის შეგიყვარეთ — ვერ გამიგია. ჩემო ძვირფასო, კარგო, უწმინდესო, გახდით ჩემი ცოლი! მე თქვენ მიყვარხართ! მიყვარხართ!.. როგორც არავინ, არასოდეს...

ერთმანეთს ჰკოცნიან.

შემოდის ორი ოფიცერი. მათ დანახვაზე განცვიფრებულები ჩერდებიან.

ფ ა რ დ ა

## მეორე მოქმედება

პირველი მოქმედების დეკორაცია.

ქუჩიდან გარმონის ხმა ისმის. საღამოს რვა საათია. ბნელა. შემოდის ნატალია ივანოვნა. აცვია ხალათი, ხელში სანთელი უჭირავს. ანდრეის ოთახთან ჩერდება.

**ნატაშა.** ანდრიუშა შენა ხარ? აქ რას აკეთებ? კითხულობ? არაფერი, არაფერი. მე ისე... (მიდის, მეორე კარს აღებს, შიგ შეიხედავს, და ისევ მიკეტავს.) სინათლე ხომ არ ანთია-მეთქი.

**ანდრეი** (შემოდის წიგნით ხელში). რა იყო ნატაშა?

**ნატაშა.** ვამოწმებ, სინათლე ხომ არავის დარჩა-მეთქი. ყველიერია და მსახურები თავგზააბნეულები დადიან. სულ კუდში დავდევ, რომ არაფერი მოგვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიონ. წუხელ, შუაღამისას, სასადილო ოთახში ვიღაცას ანთებული სანთელი დაუტოვებია. ვერ იქნა და ვერ გამოვარკვიე, ვინ დატოვა. (სანთელს დგამს.) რომელი საათია?

ანდრეი (საათს დახედავს). ცხრის თხუთმეტია.

ნატაშა. ოლგა და ირინა არ მოსულან. საწყლები, თავს იკლავენ მუშაობით! ოლგა პედაგოგიურ საბჭოზეა, ირინა — ტელეგრაფში... (ოხრავს.) დილით შენს დას ვეუბნები, თავს გაუფრთხილდი-მეთქი, ირინა, გენაცვალე, ყურიც არ მათხოვა. რა თქვი? ცხრის თხუთმეტიაო? მგონი ჩვენს ბიჭს რაღაც აწუხებს. ნეტა რატომ არის ასე გაყინული? გუშინ სიცხე ჰქონდა, დღეს კი გაყინულია. ისე მეშინია.

ანდრეი. ბიჭს არაფერი უჭირს, ნუ გეშინია, ნატაშა.

ნატაშა. მეშინია. ყოველ შემთხვევაში, დიეტაზე რომ გადავიყვანოთ, უკეთესი იქნება. იცი, ახლა თქვეს, ათი საათისათვის ბერიკებმა უნდა ჩამოიარონო. ნეტა არ მოვიდნენ!

ანდრეი. მართალი გითხრა, მაგისი არაფერი ვიცი. დებმა მოიპატიჟეს.

ნატაშა. ამ დილით პატარამ რომ გაიღვიძა, მომაჩერდა და უცბად გამიღიმა: ესე იგი, მიცნო. „გამარჯობა-მეთქი, ბობიკ, — ვეუბნები, გამარჯობა, გენაცვალე!" ის კი მიცინის. ბავშვებს ყველაფერი ესმით, მშვენივრად ესმით. მაშ ასე, ანდრიუშა, ვეტყვი, რომ ბერიკები არ შემოუშვან.

ანდრეი (გაუბედავად). კი, მაგრამ... როგორც დები ინებებენ. აქ დიასახლისები ისინი არიან.

ნატაშა. მეც დიასახლისი ვარ და ვეტყვი... კეთილი დები გყავს, გამიგებენ... (მიდის.) ვუბრძანე, ვახშმად მაწონი მოგართვან. ექიმმა მითხრა, თუ გახდომა უნდა, მაწვნის გარდა არაფერი ჭამოსო. (შეჩერდება.) მე მაინც მეშინია, ბობიკი გაყინულია. მე მგონი, ოთახი აციებს, ცივი ოთახია. სანამ დათბება, სხვა ოთახში უნდა გადავიყვანოთ. აი, თუნდაც ირინას ოთახში, ზედგამოჭრილია ბავშვისათვის, მშრალი, მზიანი ოთახია. უნდა ვუთხრა, იქნებ, ჯერჯერობით, თვითონ ოლგას ოთახში... მაინც ერთთავად გარეთაა, შინ მარტო დასაძინებლად...

პაუზა.

ანდრიუშანჩიკ, რატომ ხმას არ იღებ?

ანდრეი. ისე, ვფიქრობ... რა გიპასუხო...

ნატაშა. კიდევ რაღაც უნდა მეთქვა... ჰო, გამგეობიდან ფერაპონტი მოვიდა, შენი ნახვა უნდა.

ანდრეი (ამთქნარებს). დაუძახე.

ნატაშა გადის. ანდრეი იხრება სანთლისაკენ, რომელიც ნატაშას დარჩა და წიგნს კითხულობს. შემოდის ყურებახვეული ფერაპონტი, საყელოაწეული ძველი დაქექილი პალტო აცვია.

გამარჯობა, ჩემო კარგო. ახალს რას მეტყვი?

ფერაპონტი. თავმჯდომარემ აი, ეს წიგნი და კიდევ ქაღალდი გამომატანა... (წიგნს და პაკეტს უწვდის.)

ანდრეი. კეთილი, გმადლობთ. აქამდე სად იყავი, უკვე მეცხრე საათია.

ფერაპონტი. რა ბრძანეთ?

ანდრეი (უფრო ხმამაღლა). შეგაგვიანდა-მეთქი, ცხრა დაიწყო.

ფერაპონტი. მართალი ბრძანდებით. მე რომ მოვედი, დღე იყო, მაგრამ არ შემომიშვეს, ბატონი დაკავებულიაო. რა მექნა, დაკავებულია და იყოს დაკავებული. მე ხომ არსად მეჩქარება-მეთქი (ჰგონია, რომ ანდრეი მას რაღაცას ეკითხება.) რა ბრძანეთ?

ანდრეი. არაფერი. (წიგნებს ათვალიერებს.) ხვალ პარასკევია, თავისუფალი დღე მაქვს, მაგრამ მაინც მივალ გამგეობაში.. წავიმუშავებ... სახლში ჯდომა მომბეზრდა.

პაუზა.

ჩემო კეთილო მოხუცო, რა საოცრად ცვალებადია ცხოვრება, როგორ გვატყუებს წუთისოფელი. მოწყენილობამ და უსაქმურობამ დღეს ხელში აი, ეს წიგნი — უნივერსიტეტის ძველი ლექციები — ამაღებინა, სასაცილოა... ღმერთო ჩემო, მე იმ ერობის გამგეობის მდივანი ვარ, სადაც თავმჯდომარედ პროტოპოპოვია. დიდი-დიდი ოდესმე ერობის გამგეობის წევრობას მივაღწიო. და ეს მაშინ, როდესაც სიზმარშიაც კი მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორობაზე ვოცნებობ, მელანდება, როდის გავხდები ცნობილი მეცნიერი, მთელი რუსეთის სიამაყე!..

ფერაპონტი. ვერაფერს გეტყვით.. ცუდად მესმის...

ანდრეი. კარგად რომ გესმოდეს, მაშინ არაფერს არ გეტყოდი. ვინმეს ხომ უნდა დაველაპარაკო, ხომ უნდა ვუთხრა სათქმელი... ცოლს ჩემი არ ესმის, დების რატომღაც მეშინია, ასე მგონია, დამცინებენ, შემარცხვენენ. დიდი მსმელი და დარდიმანდი არა ვარ, მაგრამ ახლა სიამოვნებით დავჯდებოდი ტესტოვის ან მოსკოვის დიდ რესტორანში.

ფერაპონტი. ამას წინათ გამგეობაში მოიჯარადრე ყვებოდა: მოსკოვში ვაჭრები ბლინებს მისძღომიან. ერთს ორმოცი ბლინი შეუჭამია და მომკვდარაო, არ ვიცი, ორმოცი თუ ორმოცდაათიო, ველარ გავიხსენე.

ანდრეი. ზიხარ მოსკოვის რესტორნის უზარმაზარ დარბაზში, არავის იცნობ, არავინ გიცნობს, მაგრამ თავს მაინც შინაურ კაცად გრძნობ. აქ კი ყველა ერთმანეთს იცნობს და მაინც უცხო ხარ, უცხო... უცხო და უთვისტომო.

ფერაპონტი. რა ბრძანეთ?

პაუზა.

მოიჯარადრემ კიდევ თქვა, იქნებ იცრუა კიდეც, მთელი მოსკოვის სიგრძე-სიგანეზე ბაგირი უნდა გაჭიმონო.

ანდრეი. რატომო?

ფერაპონტი. მე რა ვიცი, მოიჯარადრემ თქვა.

ანდრეი. სისულელეა. (წიგნს კითხულობს.) ყოფილხარ როდისმე მოსკოვში?

ფერაპონტი (პაუზის მერე). არა. ღმერთმა არ ინება.

პაუზა.

წავიდე?

ანდრეი. წადი. კარგად იყავი.

ფერაპონტი მიდის.

კარგად იყავი. (კითხულობს.) ხვალ დილას მოხვალ, ამ ქაღალდებს წაიღებ... წადი...

პაუზა.

წასულა.

ზარს რეკავენ.

ეჰ, ასეა საქმე... (იზმორება და აუჩქარებლად შედის თავის ოთახში.)

კულისებიდან ისმის როგორ უმღერის ძიძა ბავშვს ნანას.

შემოდიან მაშა და ვერშინინი, ვიდრე ისინი საუბრობენ, მოახლე ლამპას და სანთლებს ანთებს.

ᲛᲐᲨᲐ. არ ვიცი.

პაუზა.

არ ვიცი. იქნებ, სხვაგან ასე არ არის, მაგრამ ჩვენს ქალაქში ყველაზე წესიერი, ყველაზე კეთილშობილი და ზრდილი ხალხი სამხედროები არიან.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. მწყურია. სიამოვნებით დავლევდი ჩაის.

ᲛᲐᲨᲐ (შეხედავს საათს). ახლავე მოვატანინებ. თვრამეტი წლისა გამათხოვეს. ჩემი ქმარი მასწავლებელი იყო, მეშინოდა მისი. მე ხომ იმ წელიწადს დავამთავრე გიმნაზია. მაშინ არაჩვეულებრივი განსწავლული, ჭკვიანი და პატივსაცემი ადამიანი მეგონა. ახლა, სამწუხაროდ, ასე აღარ ვფიქრობ.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. ასეა... ასე.

ᲛᲐᲨᲐ. ქმარს მივეჩვიე. მას ეს არ ეხება, მაგრამ ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა შორის ძალიან ბევრია უკმეხი, ტლანქი და უზრდელი. არ შემიძლია გულგრილად ვუყურო, ადამიანები ერთმანეთს უხეშად რომ ექცევიან, ვიტანჯები, როდესაც ადამიანს აკლია სინატიფე, სილბო, თავაზიანობა, ქმრის ამხანაგებთან, მასწავლებლებთან რომ მიხდება ყოფნა, მაშინ ხომ პირდაპირ სიგიჟემდე მივდივარ.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. რას იზამთ. მე კი, მგონია, აქ ყველა ერთნაირია, ყოველ შემთხვევაში ამ ქალაქში — სამოქალაქოებიც და სამხედროებიც — ერთნაირად უინტერესონი არიან. ყველა ერთია! აქაურ ინტელიგენტს რომ მიუგდო ყური, — სამოქალაქოა, თუ სამხედრო, — ყველა და ყველაფერი სტანჯავს და აწვალებს. ცოლიც, ოჯახიც, მამულიც, ცხენებიც კი... რუსი ადამიანისთვის უაღრესად დამახასიათებელია ამაღლებული აზროვნება, მაგრამ ამიხსენით, რატომ კმაყოფილდება იგი ცხოვრებაში ასე მცირეთი? რატომ?

ᲛᲐᲨᲐ. რატომ?

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. რატომ სტანჯავენ მას ცოლი და შვილი, ან პირიქით, რატომ აწვალებს იგი თავის ცოლსა და შვილებს?

ᲛᲐᲨᲐ. დღეს რაღაც გუნებაზე ვერა ხართ.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. შესაძლოა. არ მისადილია, საერთოდ დღეს არაფერი მიჭამია. გოგონა მყავს შეუძლოდ. ხოლო როცა ოჯახში ვინმე ავად ხდება, მოსვენებას ვკარგავ. სინდისი მაწუხებს ასეთი დედა რომ მყავთ. ერთი დაგენახათ, დღეს რა საშინელება იყო? დილის შვიდი საათიდან დავიწყეთ ჩხუბი, ცხრაზე კი სახლიდან გავვარდი.

პაუზა.

ამაზე არასოდეს არ ვლაპარაკობ, უცნაურია, თქვენ თუ შემოგჩივლებთ ხოლმე. (ხელზე კოცნის.) ნუ გამიჯავრდებით. თქვენს მეტი არავინ მყავს, არავინ...

პაუზა.

ᲛᲐᲨᲐ. როგორ გუგუნებს ღუმელი. მამას გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ზუსტად ასე გუგუნებდა საკვამური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. ცრუმორწმუნე ხართ?

ᲛᲐᲨᲐ. ვარ.

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. უცნაურია. (ხელზე კოცნის.) შესანიშნავი, დიდებული ქალი ხართ. დიდებული და საოცარი. ამ სიბნელეშიც კი ვხედავ როგორ გიბრწყინავთ თვალები.

ᲛᲐᲨᲐ (სხვა სკამზე გადაჯდება). აქ მეტი სინათლეა...

ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ. მიყვარს, მიყვარს, მიყვარს... ო, როგორ მიყვარს თქვენი თვალები, სიზმრადაც თქვენ გხედავთ, რა მიხრა-მოხრა გაქვთ. საოცარო, მშვენიერო!

ᲛᲐᲨᲐ (ჩუმად იცინის). ასე რომ მელაპარაკებით, რატომღაც მეცინება, თუმცა მეშინია კიდეც. ნუ მიმეორებთ, გთხოვთ... (ხმადაბლა.) თუმცა ილაპარაკეთ, ჩემთვის სულერთია... (სახეზე ხელებს აიფარებს.) ჩემთვის სულ ერთია. ვიღაც მოდის, სხვა რამეზე მელაპარაკეთ.

დარბაზიდან ირინა და ტუზენბახი შემოდიან.

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ. სამმაგია ჩემი გვარი. ბარონი ტუზენბახ-კრონე-ალტშაუერი, მაგრამ თქვენსავით მართლმადიდებელი რუსი ვარ. გერმანული ცოტა რამ შემრჩა, მხოლოდ მოთმინება და სიჯიუტე, რითაც ასე გაბეზრებთ თავს — ყოველ საღამოს გაცილებთ სახლში.

ᲘᲠᲘᲜᲐ. როგორ დავიღალე.

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ.. კვლავაც ყოველ საღამოს მოგაკითხავთ ტელეგრაფში და გამოგაცილებთ, ათმა, ოცმა წელმაც რომ გაიაროს — ვიდრე არ გამაგდებთ.. (დაინახავს მაშას და ვერშინინს, სიხარულით.) ა, თქვენა ხართ? გამარჯობათ.

ᲘᲠᲘᲜᲐ. მადლობა ღმერთს, შინა ვარ. (მაშას.) ზედ წამოსვლის წინ ერთი ქალი მოვიდა, დეპეშა უნდა გაეგზავნა ძმისთვის სარატოვში, ატყობინებდა, ვაჟიშვილი გარდამეცვალაო. ვერაფრით ვერ გაიხსენა მისამართი. მერე უმისამართოდ გაუგზავნა, პირდაპირ სარატოვი დააწერა, თან საშინლად ტიროდა. სრულიად უმიზეზოდ უხეშად ავუხირდი, „აქ მარტო თქვენ ხომ არ ხართ, არა მცალია-მეთქი." ძალიან ცუდად გამომივიდა. დღეს ბერიკებმა უნდა ჩამოიარონ?

ᲛᲐᲨᲐ. ჰო.

ᲘᲠᲘᲜᲐ (სავარძელში ჯდება). სული მოვითქვი, დავიღალე.

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ (ღიმილით). სამსახურიდან რომ ბრუნდებით, ბავშვივით ხართ, პატარა, უმწეო...

ᲘᲠᲘᲜᲐ. დავიღალე. არა, არ მიყვარს ტელეგრაფი, არ მიყვარს.

ᲛᲐᲨᲐ. გახდი... (უსტვენს.) თანაც გაახალგაზრდავდი, პატარა ბიჭივით გამოიყურები...

ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ. თმა აქვს ისე შეჭრილი..

ᲘᲠᲘᲜᲐ. სამსახური უნდა გამოვიცვალო, ეს საჩემო არ არის. რასაც ვეძებ და რაზეც ვოცნებობ, სწორედ ის აკლია ამ საქმეს. პოეზია, აზრი...

იატაკს ქვემოდან უკაკუნებენ.

ექიმი გვიკაკუნებს (ტუზენბახს.) დაუკაკუნეთ, ჩე-

ო კარგო... დაღლილი ვარ... პასუხის თავი არა მაქვს.

ტუზენბახი იატაკზე აკაკუნებს.

სცაა ამოვა. რამე უნდა ვილონოთ. ექიმი და ჩვენი ანდრეი გუშინ კლუბში ყოფილან და ისევ წაუგიათ. მითხრეს, ანდრეიმ ორასი მანეთი წააგოო.

მაშა (გულგრილად). მაგას ახლა რაღა ეშველება!

ირინა. ორი კვირის წინ წააგო, დეკემბერში. ნარამ ერთბაშად წააგოს ყველაფერი. იქნებ მაშინ მაინც გავაღწიოთ ამ ქალაქიდან. ღმერთო ჩემო, ყოველ ღამე მოსკოვი მესიზმრება, მე მგონი შევიშალე. (იცინის.) ივნისში გადავდივართ. ივნისამდე... თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი... თითქმის ნახევარი წელიწადია!

მაშა. ნატაშამ არ უნდა გაიგოს წაგების ამბავი.

ირინა. მე მგონი, ნატაშასთვის სულერთია.

ლოგინიდან ახლად ამდგარი ჩებუტიკინი — სადილის შემდეგ რომ ისვენებდა — წვერის ვარცხნით შემოდის დარბაზში. მაგიდასთან ჯდება და ჯიბიდან გაზეთს იღებს.

მაშა. მობრძანდა.. ბინის ქირა თუ გაისტუმრა?

ირინა (იცინის). არა. რვა თვის განმავლობაში კაპიკიც არ გადაუხდია. ალბათ გადაავიწყდა.

მაშა (იცინის). რა დიდის ამბით ზის?

ყველა იცინის. პაუზა.

ირინა. რატომ დუმხართ, ალექსანდრ იგნატიჩ?

ვერშინინი. რა ვიცი. ჩაი მინდა. ნახევარ სიცოცხლეს მივცემდი ერთ ჭიქა ჩაიში, დილიდან პირში ხემსი არ ჩამსვლია...

ჩებუტიკინი. ირინა სერგეევნა...

ირინა. რა გნებავთ?

ჩებუტიკინი. ჩემთან მობრძანდით.

ირინა მაგიდას მიუჯდება.

უთქვენოდ ვერ ვძლებ.

ირინა პასიანსს შლის.

ვერშინინი. რა გაეწყობა? რადგან ჩაის არ გვასმევენ, ვიფილოსოფოსოთ მაინც.

ტუზენბახი. სიამოვნებით. რაზე?

ვერშინინი. რაზე? ვიოცნებოთ... თუნდაც იმ ცხოვრებაზე, ჩვენს მერე რომ იქნება, ორასი-სამასი წლის შემდეგ.

ტუზენბახი. კეთილი. ჩვენს შემდეგ საჰაერო ბუშტებით იფრენენ სხვანაირად ჩაიცვამენ, ალბათ, მეექვსე გრძნობასაც აღმოაჩენენ და განავითარებენ; მაგრამ ცხოვრება იგივე დარჩება, საიდუმლოებითა და ბედნიერებით აღსავსე. ათასი წლის შემდეგაც ასევე ამოიოხრებს ადამიანი. — „ო, რა ძნელია ცხოვრება!“ — დღევანდელივით შეეშინდება სიკვდილის და დღევანდელივით ენდომება სიცოცხლე...

ვერშინინი (დაფიქრების შემდეგ). როგორ გითხრათ? ჩემი აზრით, დედამიწაზე თანდათანობით ყველაფერი უნდა შეიცვალოს. იცვლება კიდეც, ჩვენ ამის მოწმენი ვართ. მნიშვნელობა არა აქვს, როდის მოხდება ეს, — ორასი, სამასი, თუნდაც, ათასი წლის შემდეგ, — მაგრამ ფაქტია, დადგება ახალი, ბედნიერი ცხოვრება. ჩვენ, ცხადია, ახალ ცხოვრებას ვერ მოვესწრებით, მაგრამ დღეს იმიტომ ვცოცხლობთ, ვშრომობთ, თუნდაც იმიტომ ვიტანჯებით... რომ ის ახალი ცხოვრება შევქმნათ. ეს არის სწორედ ჩვენი არსებობის მიზანი და, თუ გნებავთ, ბედნიერებაც.

მაშა თავისთვის იცინის.

ტუზენბახი. რა დაგემართათ?

მაშა. არ ვიცი. დღეს დილიდან ვიცინი.

ვერშინინი. მეც თქვენნაირი განათლება მივიღე. აკადემია არც მე დამიმთავრებია. ბევრს ვკითხულობ, თუმცა წიგნის შერჩევა არ ვიცი და, ალბათ, იმას არ ვკითხულობ, რაც საჭიროა. სხვათა შორის, რაც ხანი მემატება, მით უფრო მეტი მინდა ვიცოდე. თმა შემიჭაღარავდი, თითქმის დავბერდი. მართალია, ძალიან ცოტა რამ ვიცი, მაგრამ ყველაზე მთავარს და ნამდვილს შესანიშნავად ჩავწვდი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ჩვენთვის ბედნიერება არ არსებობს, არც უნდა არსებობდეს და არც იარსებებს... ჩვენ მხოლოდ უნდა ვიშრომოთ და ვიშრომოთ, ბედნიერება ჩვენი შორეული შთამომავლობის ხვედრია.

პაუზა

მე თუ არა, ჩემი შვილთა შვილები მაინც მოესწრონ მას.

დარბაზში გამოჩნდებიან ფედოტიკი და როდე, ისინი სხდებიან სკამებზე, ხმადაბლა უკრავენ გიტარაზე და ჩუმად ღიღინებენ.

ტუზენბახი. თქვენი აზრით, ბედნიერებაზე არც კი უნდა ვიოცნებოთ! ბედნიერი თუ ვარ?

ვერშინინი. არა.

ტუზენბახი (ტაშს შემოკრავს და იცინის). ჩანს, ჩვენ ერთმანეთის არ გვესმის. აბა, როგორ დაგარწმუნოთ?

მაშა თავისთვის იცინის.

(თითს უჩვენებს.) აჰა, იცინეთ! (ვერშინინს.) არათუ ორასი ან სამასი წლის შემდეგ, ცხოვრება მილიონი წლის შემდეგაც ძველებური დარჩება: იგი უცვლელია, მუდმივი და საკუთარ კანონებს ემორჩილება. ამ კანონებთან ჩვენ არაფერი გვესაქმება, ყოველ შემთხვევაში მათ თქვენ ვერასოდეს შეიცნობთ. ფრინველები, მაგალითად, წეროები, მუდამ მიფრინავენ ხოლმე სხვა ქვეყნებში და რა მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო აზრებიც არ უნდა უტრიალებდეთ თავში, სულ ერთია, მაინც იფრენენ. ამასთან, არასოდეს არ ეცოდინებათ, საით მიფრინავენ და რისთვის. ისინი ფრენენ და კვლავაც იფრენენ, რა სახის ფილოსოფოსებმაც არ უნდა იჩინონ თავი მათ შორის, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოღონდ კი იფრინონ.

მაშა. აზრი მაინც ვერ გავიგე!

ტუზენბახი. აზრი.. აი, თოვს. რა აზრი აქვს ამას?

პაუზა.

მაშა. ჩემი აზრით, ადამიანს ღმერთი უნდა სწამდეს, ან რწმენას ეძებდეს — უამისოდ მის ცხოვრებას აზრი არ ექნება,.. არავითარი... ცხოვრობდე და არ იცოდე, რისთვის მიფრინავენ წეროები, რისთვის ჩნდებიან ბავშვები, რისთვისაა ცაზე ვარსკვლავები, ან უნდა იცოდე, რისთვის ცხოვრობ, ან არადა, ყველაფერი უაზრობაა, ამაოება ამაოთა.

პაუზა.

ვერშინინი. გული მწყდება, თვალსა და ხელს შუა გამეპარა ახალგაზრდობა.

**მაშა.** გოგოლმა თქვა „მოსაწყენია, ბატონებო, ამქვეყნად ცხოვრება“.

**ტუზენბახი.** მე კი ვიტყოდი, ძნელია თქვენთან კამათი, ბატონებო! ერთი, თქვენც...

**ჩებუტიკინი** (გაზეთს კითხულობს). ბალზაკმა ბერდიჩევოში დაიწერა ჯვარი.

ირინა ღიღინებს.

ამას წიგნაკში ჩავიწერ (იწერს.) ბალზაკმა ბერდიჩევოში დაიწერა ჯვარი (კითხვას განაგრძობს.)

**ირინა** (პასიანსს შლის, დაფიქრებულია). ბალზაკმა ბერდიჩევოში დაიწერა ჯვარი.

**ტუზენბახი.** გადაწყდა, მარია სერგეევნა, იცით, სამსახურიდან გადადგომას ვაპირებ.

**მაშა.** ყური მოვკარი, მაგრამ ვერ მოგიწონებთ, ხომ იცით, არ მიყვარს სამოქალაქო პირები.

**ტუზენბახი.** რა მნიშვნელობა აქვს? (დგება.) მე ხომ ლამაზი კაცი არა ვარ, სამხედრო კი ლამაზი უნდა იყოს!! თუმცა ყველაფერი სულ ერთია... მუშაობა მინდა. ჩემს ცხოვრებაში ერთ დღეს მაინც ვიმუშაო ისე, რომ საღამოს დაღლილ-დაქანცული დავბრუნდე შინ, მივეგდო ლოგინზე და მაშინვე დამეძინოს. (დარბაზისაკენ მიდის.) მუშებს, ალბათ, მაგრად სძინავთ.

**ფედოტიკი** (ირინას). წელან მოსკოვის ქუჩაზე, პიჟიკოვთან, ფერადი ფანქრები გიყიდეთ. ესეც ფანქრის სათლელი დანა...

**ირინა.** თქვენ რა, ისევ ბავშვი გგონივართ? გავიწყდებათ, რომ გავიზარდე... (ართმევს ფანქრებსა და დანას, სიხარულით.) რა შესანიშნავია!

**ფედოტიკი.** ჩემთვის კი ეს დანა ვიყიდე... ნახეთ, დანა, კიდევ დანა, მესამე დანა, ეს ყურების საჩიჩქნად. ეს მაკრატელი, ეს ფრჩხილების საწმენდი...

**როდე** (ხმამაღლა). ექიმო, რამდენი წლის ხართ?

**ჩებუტიკინი.** მე? ოცდათორმეტის.

იცინიან.

**ფედოტიკი.** მე თქვენ ახლა სხვანაირ პასიანსს გიჩვენებთ... (პასიანსს შლის).

შემოაქვთ სამოვარი. ანფისა სამოვართან ფუსფუსებს, ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ნატაშა და ისიც მაგიდასთან ტრიალებს,

შემოდის სოლიონი, ყველას ესალმება და მაგიდასთან ჯდება.

**ვერშინინი.** რა საშინელი ქარია!

**მაშა.** მაშ, გული გამიწყალა ამ ზამთარმა. დამავიწყდა კიდეც ზაფხულის არსებობა.

**ირინა.** ვატყობ, გამოდის პასიანსი, ესე იგი, მივდივარ მოსკოვში.

**ფედოტიკი.** არა, არ გამოვა. ხედავთ? ყვავის ორიანს რვიანი დაეცა, (იცინის.) ესე იგი, ფაფუ მოსკოვი!

**ჩებუტიკინი** (გაზეთს კითხულობს). ციციკარში ყვავილი მძვინვარებს.

**ანფისა** (მიუახლოვდება მაშას). მაშა, გეთაყვა, მიირთვით ჩაი. (ვერშინინს.) მობრძანდით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ... უკაცრავად, ჩემო ბატონო, დამავიწყდა თქვენი სახელი...

**მაშა.** აქ გამოგვიტანე გადია. იქით არ გამოვალ.

**ირინა.** გადია!

**ანფისა.** მო-ო-ვდივა-რ!

**ნატაშა** (სოლიონს). ჩვილ ბავშვებს მშვენივრად ესმით ყველაფერი. გამარჯობა-მეთქი, ბობიკ, ვეუბნები, გამარჯობა-მეთქი, გენაცვალე! ისე სხვანაირად შემომხედა. ალბათ, გგონიათ, ჩემი შვილი რომ არის, იმიტომ ვლაპარაკობ ასე. არა, გარწმუნებთ, რაღაც არაჩვეულებრივი ბავშვია.

ეროვნული

**სოლიონი.** ეგ ბავშვი რომ ჩემი იყოს, ტაფაზე შევბრაწავდი და შევახრამუნებდი. (ჭიქით ხელში სასტუმროში გამოდის და კუთხეში მოიკალათებს.)

**ნატაშა** (სახეზე ხელებს აიფარებს). ო, ღმერთო, ჩემო, რა უხეშია, რა უზრდელი!

**მაშა.** ბედნიერია ის, ვინც ვერ ამჩნევს, ზაფხულია ახლა თუ ზამთარი. მოსკოვში რომ ვყოფილიყავი, ალბათ ამინდს არც ჩემთვის ექნებოდა მნიშვნელობა.

**ვერშინინი.** ამ დღეებში ერთი ფრანგი მინისტრის დღიურები წავიკითხე, ციხეში დაუწერია. პანამის საქმის გამო ყოფილა გასამართლებული. უნდა ნახოთ, რა გატაცებით, რა აღფრთოვანებით წერს ციხის ფანჯრიდან დანახულ ჩიტებზე, რომლებსაც თავისი მინისტრობის დროს ვერ ამჩნევდა. დარწმუნებული ვარ, თუ გაათავისუფლეს, ძველებურად ველარ შეამჩნევს ჩიტებს. თქვენც ვერ შეამჩნევთ მოსკოვს, როდესაც იქ იცხოვრებთ. არ არსებობს ჩვენთვის ბედნიერება და არც იარსებებს. ჩვენ მხოლოდ ვესწრაფით მას.

**ტუზენბახი** (სუფრიდან კოლოფს იღებს). სადღაა კამფეტები?

**ირინა.** სოლიონმა შესანსლა.

**ტუზენბახი.** სულ?

**ანფისა** (მიართმევს ჩაის). თქვენი ბარათია, ბატონო.

**ვერშინინი.** ჩემი? (გამოართმევს.) გოგონა მწერს. (კითხულობს.) ჰო, რა თქმა უნდა... მაპატიეთ, მარია სერგეევნა, უნდა გავიპარო. ჩაის ვერ დავლევ. (დგება, აღელვებულია.) აღარ გათავდა, ერთი და იგივე ამბავია...

**მაშა.** რა მოხდა? თუ საიდუმლო არ არის.

**ვერშინინი** (ჩუმად). ცოლმა ისევ თავი მოიწამლა. უნდა წავიდე. შეუმჩნევლად გავალ. როგორ მომბეზრდა ყველაფერი. (ხელზე ჰკოცნის მაშას.) ჩემო ძვირფასო, კარგო, მშვენიერო... გავიპარები... (მიდის.)

**ანფისა.** სად წავიდა? მე კი ჩაი მივართვი... ეს ვინ ყოფილა.

**მაშა** (უჯავრდება). თავი დამანებე! გადაეკიდები კაცს, სულს არ მოათქმევინებენ! არ გამიწყალა გული ამ მოხუცმა! (ფინჯნით ხელში მაგიდისაკენ მიდის.)

**ანფისა.** რა გაჯავრებს ჩემო კარგო!

ანდრეის ხმა: „ანფისა“

(გაჯავრებით.) ანფისა! გამოიკეტება ოთახში და... (გადის.)

**მაშა** (მიდის დარბაზში, მაგიდასთან, გაჯავრებით). დამსვით სადმე! (მაგიდაზე კარტს არევს.) გაუშლიათ აქ კარტი. ჩაი დალიეთ.

**ირინა.** რატომ გაავდი?

**მაშა.** ჰოდა, თუ ხედავთ, რომ გაავებული ვარ, ნუ მელაპარაკებით. თავი გამანებეთ.

**ჩებუტიკინი** (სიცილით). თავი გაანებეთ, თავი გაანებეთ...

**მაშა.** სამოცი წლის კაცი ხართ და პატარა ბიჭივით იქცევით, ეშმაკმა იცის, რას ბოდავთ.

**ნატაშა** (ოხრავს). მაშა, საყვარელო, რა სიტყვებს

ხარობ, როგორ გეკადრება? გამოგიტყდები და შენი მშვენიერი გარეგნობით ყველას მოხიბლავდი მაღალ საზოგადოებაში, ეგ უხეში გამოთქმები რომ არ გიშლიდეს ხელს.

Il vois parle, pardonner moi, Maria, mais vois aver des maniéres un peu grossiéres.[1]

ტუზენბახი (სიცილს იკავებს). მომაწოდეთ... მომაწოდეთ... ჩემო კარგო... იქ, კონიაკი უნდა იყოს...

ნატაშა. Il parait, que mon ბობიკმა déja ne dort pas[2], გაიღვიძა. დღეს რაღაც ვერა მყავს კარგად. წავალ, მივხედავ, მაპატიეთ... (მიდის).

ირინა. ალექსანდრ იგნატიევიჩი სად წავიდა?

მაშა. სახლში, ცოლს ისევ რაღაც განსაკუთრებული შეემთხვა.

ტუზენბახი (მიდის სოლიონისთან, ხელში კონიაკის გრაფინი უჭირავს). რატომ განმარტოებულხართ, რაღაცაზე იქრობთ, კაცი ვერ გაიგებს რაზე. მოდით, შევრიგდეთ, დავლიოთ კონიაკი.

სვამენ.

დღეს ალბათ დილამდე დავუკრავ. ათასი სისულელის დაკვრა მომიწევს. რას იზამ!

სოლიონი. შესარიგებელი რა გვქირს? მე თქვენთან არ მიჩხუბია.

ტუზენბახი. აი, გიყურებთ და ასე მგონია, თითქოს ჩვენ შორის რაღაც მოხდა. უცნაური ხასიათი გაქვთ, ვერ დაგიმალავთ.

სოლიონი (გამოთქმით). უცნაური ვარ, უცნაური ვილა არ არის! ნუ ჯავრობ, ალეკო!

ტუზენბახი. რა შუაშია აქ ალეკო...

პაუზა.

სოლიონი. როცა ორნი ვართ, ვინც უნდა იყოს ის მეორე, ჩემზე ცუდად არ მოქმედებს, ხოლო თუ ჩემს გვერდით მეტნი არიან, სევდა მეძალება, სიმორცხვე მბოჭავს და ათასგვარ სისულელეს ვჩმახავ. თუმცა ეხეც იცოდეთ, ჩემხავით პატიოსან და კეთილშობილ ადამიანს იშვიათად ნახავთ. შემიძლია, დაგიმტკიცოთ.

ტუზენბახი. საოცარი აზირება იცით ხოლმე ხალხში. მიკვირს და ვერ გამიგია, რატომ? მაგრამ მე მაინც მომწონხართ! თუმცა არც ამისი მიზეზი ვიცი. დღეს უნდა დავთვრე, დავლიოთ!

სოლიონი. დავლიოთ.

სვამენ.

თქვენი საწინააღმდეგო, ბარონო, არასოდეს არაფერი მქონია, რას იზამთ, ლერმონტოვის ხასიათი მაქვს, (ჩუმად). ცოტათი ვგევარ კიდეც ლერმონტოვს... ასე ამბობენ... (ჯიბიდან სუნამოს იღებს და ხელებზე იპკურებს.)

ტუზენბახი. უნდა გადავდგე. მორჩა და გათავდა! ხუთი წელია ამაზე ვფიქრობ და, როგორც იქნა, გადავწყვიტე, უნდა ვიმუშაო!

სოლიონი (გამოთქმით). ნუ, ნუ, იჯავრებ, ჩემო ალეკო... გადაივიწყე ფიქრები შენი...

ვიდრე ისინი ლაპარაკობენ, ანდრეი ჩუმად შემოდის წიგნით ხელში, სანთელთან ჯდება.

ტუზენბახი. მე ვიმუშავებ!

ჩებუტიკინი (ირინასთან ერთად მოდის სასტუმროსაკენ). ნამდვილი კავკასიური საჭმელებით გაგვიმასპინძლდნენ. ხახვიანი შექამანდი მქონდათ და შემდეგ ჩეხართმა — ხორციანი კერძი მოგვართვეს.

სოლიონი. ჩერემშავ რომ ხორცი არ არის, მცენარეა, ჩვენებური ხახვისნაირი.

ჩებუტიკინი. არა, ჩემო ანგელოზო, ჩეხართმა ხახვი კი არა, ჩახრაკული ცხვრის ხორცია.

სოლიონი. მე გეუბნებით, ჩერემშა ხახვია-მეთქი.

ჩებუტიკინი. მე კი გეუბნებით, ჩეხართმა ცხვრის ხორცია-მეთქი.

სოლიონი. გეუბნებით, ჩერემშა ხახვია-მეთქი...

ჩებუტიკინი. რა თავს ვიტკივებ თქვენთან კამათით! თქვენ არასოდეს არ ყოფილხართ კავკასიაში და არც ჩეხართმა გიჭამიათ.

სოლიონი. რა თქმა უნდა, არ მიჭამია, დასანახავად ვერ ვიტან. ჩერემშა ნიორივით ყარს.

ანდრეი (მუდარით). კმარა, ბატონებო! გევედრებით!

ტუზენბახი. ბერიკები როდის ჩამოივლიან?

ირინა. ცხრისთვის შეგვპირდნენ, სადაცაა გამოჩნდებიან.

ტუზენბახი ანდრეის ეხვევა. ანდრეი ცეკვავს და მღერის. ჩებუტიკინი ცეკვავს. იცინიან.

ტუზენბახი (ანდრეის აკოცებს). დალახვროს ეშმაკმა, მოდით, დავლიოთ, ანდრიუშა, მოდით, დავლიოთ, და ამიერიდან შენობით ველაპარაკოთ ერთმანეთს. მეც შენთან ერთად წამოვალ, ანდრიუშა, მოსკოვში, უნივერსიტეტში...

სოლიონი. რომელ უნივერსიტეტში?

ანდრეი. მოსკოვში ერთი უნივერსიტეტია.

სოლიონი. მე კი გეუბნებით — ორია.

ანდრეი. თუ გინდათ, სამი იყოს, მით უკეთესი.

სოლიონი. მოსკოვში ორი უნივერსიტეტია.

უკმაყოფილო ხმები, სოლიონის აჩუმებენ.

მოსკოვში ორი უნივერსიტეტია: ძველი და ახალი. და თუ თქვენ არ გსურთ მომისმინოთ, თუ თქვენ ჩემი ლაპარაკი გაღიზიანებთ, მე შემიძლია გავჩუმდე, უფრო მეტიც — მე შემიძლია სულაც სხვა ოთახში გავიდე... (ერთ-ერთი კარიდან გადის.)

ტუზენბახი. ბრავო, ბრავო! (იცინის.) ბატონებო, დაიწყეთ, მე დავუკრავ, რა სასაცილოა ეს სოლიონი... (პიანინოსთან ჯდება, უკრავს ვალსს.)

მაშა (მარტო ცეკვავს ვალსს). ბარონი მთვრალია, ბარონი მთვრალია, ბარონი მთვრალია!

შემოდის ნატაშა.

ნატაშა (ჩებუტიკინს). ივან რომანიჩ! (რაღაცას ჩუმად ეუბნება და გადის.)

ჩებუტიკინი მხარზე ხელს შეახებს ტუზენბახს და რაღაცას ეჩურჩულება.

ირინა. რა მოხდა?

ჩებუტიკინი. ჩვენი წასვლის დროა. კარგად ბრძანდებოდეთ.

ტუზენბახი. ღამე ნებისა. წასვლის დროა.

ირინა. კი მაგრამ... ბერიკები?

ანდრეი (დარცხვენილი). ბერიკები არ მოვლენ. იცი, ჩემო კარგო, ნატაშამ თქვა, ბავშვი შეუძლოდ არისო, ამიტომ... ერთი სიტყვით, არ ვიცი, ჩემთვის სულ ერთია.

---

[1] მაპატიე, მაშა, მაგრამ ცოტა უხეში მანერები გაქვთ. (ფრანგ.).

[2] მგონი, ბობიკმა უკვე გაიღვიძა. (ფრანგ.)

[3] ღანძილი (მთარგმნელი).

**ირინა** (მხრების აჩეჩვით). **ბავშვი შეუძლოდ არის!**

**მაშა. ეშმაკმა დალახვროს! გვაგდებენ? ესე იგი, უნდა წავიდეთ.** (ირინას.) **ბავშვი კი არ არის შეუძლოდ, თვითონ ვერ ბრძანდება კარგად...** (შუბლზე იკაკუნებს.) **გლეხუჭა!**

ანდრეი მარჯვენა კარით შედის თავის ოთახში, ჩებუტიკინი მას მიჰყვება. დარბაზში ერთმანეთს ემშვიდობებიან.

**ფედოტიკი. დასანანია, მეგონა საღამოს მხიარულად გავატარებდი, მაგრამ თუკი ბიჭი ავადაა, რა გაეწყობა... ხვალ სათამაშოებს მოვუტან.**

**როდე** (ხმამაღლა). **დღეს საგანგებოდ გამოვიძინე სადილის მერე — მეგონა დილამდე ვიცეკვებდი. ჯერ რა, ცხრა საათია!**

**მაშა. ქუჩაში გავიდეთ. იქ მოვილაპარაკოთ, რა და როგორ, იქ გადავწყვიტოთ.**

წამსვლელები ერთმანეთს ემშვიდობებიან. ისმის ტუზენბახის მხიარული სიცილი. ყველანი მიდიან. ანფისა და მოახლე ქალი სუფრას ალაგებენ. სანთლებს აქრობენ, ისმის ძიძის ნანა. ჩუმად შემოდიან ანდრეი და ჩებუტიკინი, ანდრეი პალტოშია და ქუდი ახურავს.

**ჩებუტიკინი. ცოლის შერთვა ვერ მოვასწარი — ჯერ ერთი, ცხოვრებამ ელვის უსწრაფესად გაირბინა და, რაც მთავარია, იმიტომ, რომ სიგიჟემდე მიყვარდა დედაშენი, რომელიც უკვე გათხოვილი იყო...**

**ანდრეი. ცოლის შერთვა არ ღირს. არ ღირს, იმიტომ რომ მოსაბეზრებელი საქმეა.**

**ჩებუტიკინი. მართალი ხარ, მაგრამ მარტოობა? რაც გინდა თქვი, მარტოობა საშინელებაა, ჩემო კარგო.. თუმცა არსებითად... რა თქმა უნდა, ყველაფერი სულ ერთია!**

**ანდრეი. ჩქარა წავიდეთ.**

**ჩებუტიკინი. რა გეჩქარებათ? მოვასწრებთ.**

**ანდრეი. მეშინია, ცოლმა არ მოგვისწროს.**

**ჩებუტიკინი. ა!**

**ანდრეი. დღეს არ ვითამაშებ. ვუყურებ მხოლოდ, შეუძლოდ ვარ. რა ვუყო, ივან რომანიჩ, ამ ჩემს ქოშინს?**

**ჩებუტიკინი. რას მეკითხები! არ მახსოვს, ჩემო კარგო. არ ვიცი.**

**ანდრეი. სამზარეულოდან გავიდეთ.**

ზარის ხმა. კიდევ რეკავენ, ისმის ხმაური, სიცილი. ანდრეი და ჩებუტიკინი მიდიან.

**ირინა** (შემოდის). **რა მოხდა?**

**ანფისა. ბერიკები მოვიდნენ.**

ისმის ზარის ხმა.

**ირინა. სახლში არავინ არის-თქო, ჩემო გადია, ბოდიში მოუხადე.**

ანფისა გადის, ირინა დაფიქრებული დადის ოთახში, აღელვებულია.

შემოდის სოლიონი.

**სოლიონი** (გაოცებული). **არავინ ჩანს... სად არიან?**

**ირინა. წავიდნენ.**

**სოლიონი. მიკვირს, მარტო დარჩით?**

**ირინა. მარტო.**

პაუზა.

**მშვიდობით.**

**სოლიონი. წეღან ცოტა თავშეუკავებლად მოვიქეცი, უტაქტოდ. მაგრამ თქვენ სხვებს არ გავხართ, თქვენ წმინდა და ამაღლებული ხართ, თქვენ სიმართლეს ხედავთ... მხოლოდ თქვენ ერთს შეგიძლიათ ჩემი გაგება. მე თქვენ უსაზღვროდ მიყვარხართ...**

**ირინა. მშვიდობით, მიბრძანდით!**

**სოლიონი. უთქვენოდ სიცოცხლე არ შემიძლია.** (თან მიჰყვება.) **ო, ჩემო ნეტარებავ,** (ცრემლმორეული.) **ბედნიერებავ! რა შესანიშნავი, რა მშვენიერი, რა გასაოცარი თვალები გაქვთ... ასეთი თვალები ქვეყნად სხვას არავის არა აქვს.**

**ირინა** (ცივად). **კმარა, ვასილი ვასილიჩ!**

**სოლიონი. პირველად გელაპარაკებით ჩემს სიყვარულზე და თავი მიწაზე კი არა, სხვა პლანეტაზე მგონია.** (შუბლს ისრესს.) **ეჰ, სულ ერთია. თავს, რა თქმა უნდა, ძალად ვერავის შევაყვარებ... მაგრამ ნებით თქვენს თავს არავის დავუთმობ... გეფიცებით, ვინც თქვენს თავს შემეცილება, აუცილებლად მოვკლავ... საოცრებავ!**

გამოივლის ნატაშა, სანთლით ხელში.

**ნატაშა** (ჯერ ერთ ოთახში შეიხედავს, მერე — მეორეში და გვერდით ჩაუვლის ქმრის ოთახს.) **ანდრეი თავის ოთახშია, იკითხოს თავისთვის. უკაცრავად, ვასილი ვასილიჩ, აქ არ მეგონეთ, შინაურულად გამოვედი...**

**სოლიონი. მშვიდობით** (მიდის.)

**ნატაშა. დაღლილი ხართ, ჩემო კარგო, ჩემო საბრალო გოგონავ.** (აკოცებს.) **ადრე უნდა დაწვე ხოლმე.**

**ირინა. ბავშვს სძინავს?**

**ნატაშა. სძინავს. მაგრამ ვერ ისვენებს. გახსენებაზე, ჩემო კარგო, სულ მინდა გითხრა და ხან შენ არა ხარ სახლში, ხან მე არ მცალია.. იცი, ბავშვის ოთახი ცოტა ცივია და ნესტიანი. შენი ოთახი კი ზედგამოჭრილია მისთვის ჩემო კარგო, ძვირფასო, რა იქნება, ოლგას ოთახში რომ გადახვიდე?**

**ირინა** (ვერ გაუგია, რას ეუბნება ნატაშა). **სად?**

ისმის, როგორ უახლოვდება სახლს ეჟვნების ჟღარუნით ეტლი.

**ნატაშა. დროებით შენი ოთახი ბობიკს დავუთმე, შენ კი ოლგასთან გადადი... ისეთი საყვარელი ბავშვია! დღეს ვეუბნები: „ჩემო ბობიკ, ჩემო ბიჭუნა!“ ის კი შემომყურებს თავისი უცოდველი თვალებით.**

ზარის ხმა ისმის.

**ალბათ ოლგაა, როგორ დაიგვიანა!**

მოახლე ნატაშასთან მიდის და ჩუმად ელაპარაკება.

**ნატაშა. პროტოპოპოვია? სასწაული კაცია. პროტოპოპოვი მოსულა და სასეირნოდ მეპატიჟება.** (იცინის.) **რა უცნაურები არიან ეს მამაკაცები,..**

კვლავ ზარის ხმა ისმის.

**კიდევ ვიღაც მოვიდა. რა იქნება ცოტა ხნით რომ წავიდე?** (მოახლეს..) **უთხარი, ახლავე გამოვა-თქო.**

ისევ ზარი.

**რეკავენ... ოლგაა, ალბათ...** (მიდის.)

მოახლე გარბის, ირინა ჩაფიქრებული ზის, შემოდიან კულიგინი და ოლგა, ვერშინინი მოჰყვება მათ.

**კულიგინი. ერიჰაა! თქვენ კი ამბობდით, საღამოს მართავენო.**

**ვერშინინი. უცნაურია. ნახევარი საათის წინ წავედი აქედან და ჯერ კიდევ მაშინ ელოდებოდნენ ბერიკებს..**

**ირინა. ყველა წავიდა.**

**კულიგინი.** მაშაც წავიდა? სად წავიდა? ვის უცდის პროტოპოპოვი ქვევით ეტლით? ვის ელოდება?

**ირინა.** ნურაფერს მკითხავთ... დავიღალე.

**კულიგინი.** აი, შე ეშმაკო...

**ოლგა.** ეს წუთია სხდომა დამთავრდა. გავწამდი. გიმნაზიის უფროსი ავადაა და მის მოვალეობას მე ვასრულებ. თავი, თავი მისკდება, თავი... (ჯდება.) ანდრეის ორასი მანეთი წაუგია გუშინ კარტში... მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს...

**კულიგინი.** მეც დამღალა სხდომამ. (ჯდება.)

**ვერშინინი.** ჩემს ცოლს ჩემი შეშინება უნდოდა და კინაღამ მართლა მოიწამლა. მადლობა ღმერთს, გადარჩა. ძლივს არ ამოვისუნთქე... ესე იგი, უნდა წავიდეთ? რა გაეწყობა, ნება მიბოძეთ, ყოველივე კარგი გისურვოთ. ფეოდორ ილიჩ, წამომყევით, წავიდეთ სადმე! შინ ვერ შევალ, ახლა შინ ვერ გავძლებ... წავიდეთ!

**კულიგინი.** დაღლილი ვარ. არ წამოვალ. (ადგება.) დავიღალე. მაშა შინ წავიდა?

**ირინა.** ალბათ.

**კულიგინი** (ხელზე კოცნის მას). მშვიდობით! ხვალ და ზეგ ვისვენებთ. კარგად იყავით. (მიდის.) სიამოვნებით დავლევდი ჩაის. როგორ ველოდი, საღამოს სასიამოვნო საზოგადოებაში გავატარებ-მეთქი, მაგრამ ჰოი, falla cem hominum spem![1]... შორისდებულთან ბრალდებით ბრუნვას მოითხოვს...

**ვერშინინი.** თუ ასეა, მარტო წავალ. (კულიგინთან ერთად სტვენით გადის.)

**ოლგა.** თავი მტკივა, თავი... ანდრეიმ წააგო... მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს... წავალ, დავწვები. (მიდის.) ხვალ თავისუფალი ვარ, ზეგაც... გამისკდა თავი... (მიდის).

**ირინა** (მარტო). ყველა წავიდა. აღარავინაა.

ქუჩაში გარმონს უკრავენ. ისმის ძიძის ნანა.

**ნატაშა** (ჩაცმული ჩაივლის. მიჰყვება მოსამსახურე). ნახევარ საათში სახლში ვიქნები. ცოტას გავისეირნებ. (მიდის.)

**ირინა** (მარტო დარჩენილი, მოწყენით). მოსკოვი! მოსკოვი! მოსკოვი!

ფარდა

## მესამე მოქმედება

ოლგას და ირინას ოთახი. მარცხნივ და მარჯვნივ, თეჯირების უკან საწოლები დგას. ღამის მესამე საათია. გარედან სახანძრო რაზმის განგაშის ხმა ისმის. ჩანს, სახლში ჯერ კიდევ არ დაწოლილან. დივანზე მაშა წამოწოლილა, მას, ჩვეულებისამებრ, შავი კაბა აცვია. შემოდიან ოლგა და ანფისა.

**ანფისა.** კიბის ქვეშ სხედან, ვეუბნები, ამობრძანდით, ეგრე როგორ შეიძლება-მეთქი. მომატირეს, მამამ ამბავი არ ვიცითო, ღმერთმა ნუ ქნას, ვაითუ, დაიწვაო... ეგ რამ აფიქრებინათ? ეზოში უცხო ხალხია... ისინიც გახდილები არიან...

**ოლგა** (კარადიდან იღებს კაბას). აი, ეს ნაცრისფერი კაბა გაუტანე... ესეც... ეს ზედატანიც... ეს ქვედაკაბაც წაუღე, ჩემო გადია... ეს რა უბედურებაა, ღმერთო ჩემო! ეტყობა, კირსანოვის შესახვევი მთლიანად დაიწვა... ესეც... აი ესეც... (კაბას კაბაზე აძლევს ანფისას.) საწყალი ვერშინინები გულგახეთქილები არიან... ბეწვზე გადაურჩათ სახლი. ჩვენთან გაათიონ ღამე... მათი გაშვება არ შეიძლება... საწყალ ფედოტიკს ხომ არაფერი შერჩა, მთლად გადაიბუგა.

**ანფისა.** ფერაპონტს დაუძახე, ოლიუშკა, მარტო ვერ მოვერევი...

**ოლგა** (რეკავს ზარს). ახლა გააგონებ ვინმეს?.. (კარში გასძახებს.) ვინ ხართ მანდ! აქ მოდით!

ღია კარიდან მოჩანს ხანძრის ანარეკლით ალაპლაპებული ფანჯარა. სახლთან მეხანძრეთა რაზმი ჩაიქროლებს.

რა საშინელებაა! აღარ შემიძლია!

შემოდის ფერაპონტი.

ეს ტანსაცმელი ქვევით ჩაიტანე... კიბის ქვეშ კოლოტილინის ქალიშვილები სხედან და იმათ მიეცი. ესეც...

**ფერაპონტი.** მესმის. ასე იწვოდა თორმეტ წელს მოსკოვიც. ღმერთო ჩემო! როგორ უკვირდათ ფრანგებს!

**ოლგა.** წადი, ფერაპონტი, წადი.

**ფერაპონტი.** ბატონი ბრძანდებით. (მიდის.)

**ოლგა.** ჩემო კეთილო გადია, ყველაფერი მიეცი. ჩვენ არაფერი გვინდა, ყველაფერი წაუღე... დავიღალე, მუხლები მეკეცება... ვერშინინების შინ გაშვება არ შეიძლება.. გოგონები სასტუმრო ოთახში დააწვინეთ, ალექსანდრ იგნატიჩი კი — ქვევით, ბარონთან... ფედოტიკსაც ბარონთან გაუშალეთ ლოგინი, ანდა ჩვენთან, დარბაზში... თითქოს ჯიბრზე ექიმიც მთვრალია, ფეხზე ძლივს იდგა, მასთან ვერავის დავაწვენთ. ვერშინინის ცოლი სასტუმროში დააძინეთ..

**ანფისა** (დაქანცული). ოლუშკა, ჩემო საყვარელო, არ გამაგდო, გეხვეწები!

**ოლგა.** რას ამბობ, გადია! ვინ გაგდებს.

**ანფისა** (გულზე მიეკვრება). ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, მე ხომ ვშრომობ, ვმუშაობ... რომ აღარ შემეძლება, ვიცი მეტყვით, მოგვშორდიო. მაგრამ სად წავიდე? ვისთან? ოთხმოცი წლის ვარ. ოთხმოცდამეორე წელში გადავდექი...

**ოლგა.** დაჯექი, ჩემო გადია... შენც დაიღალე, შე საცოდავო... (სკამზე სვამს.) დაისვენე, ჩემო კარგო. ფერი არ გადევს!

შემოდის ნატაშა.

**ნატაშა.** ამბობენ, ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად სასწრაფოდ საზოგადოება უნდა შევქმნათო. კარგია. შესანიშნავი აზრია. საერთოდ, უნდა დავეხმაროთ ღარიბებს, ეს მდიდრების მოვალეობაა. ბობიკს და სოფოჩკას ისე გულიანად სძინავთ, თითქოს არაფერი მომხდარა. რამდენი ხალხს მოუყრია თავი ჩვენთან, — მთელი სახლი გაივსო. ახლა ქალაქში ინფლუენციაა მოდებული. მეშინია, ბავშვებს არაფერი შეეყარონ.

**ოლგა** (ყურს არ უგდებს). ამ ოთახიდან არ ჩანს ხანძარი, აქ სიმშვიდეა.

**ნატაშა.** ალბათ, გაწეწილი ვარ. (სარკის წინ ტრიალებს.) მეუბნებიან, გასუქდაო... არაფერიც, გრამიც არა მაქვს მომატებული. მაშას ჩასძინებია — დაიქანცა საწყალი... (ანფისას, ცივად.) როგორ ბედავ და ზიხარ, როდესაც მე აქა ვარ. აბა, მოუსვი აქედან!

ანფისა გადის. პაუზა.

რა ჯანდაბად გინდათ ეს დედაბერი, არ მესმის!

**ოლგა** (სახტად დარჩა). მაპატიე, მაგრამ არ მესმის...

[1] ვოჩვენებითო იმედო, კაცისაო! (ლათ.).

ნატაშა. რა არ გესმის, ძვირფასო, ერთი გაუთლელი სოფლელი ქალია და თვითონაც იცი, რომ არ გვჭირდება, წავიდეს თავისთვის სოფელში. რას ელოლიავებით, მე წესრიგი მიყვარს, სახლში ზედმეტი არავინ დავინახო. (ლოყაზე ხელს მოუთათუნებს.) დაიღალე, შე საბრალო! დაიღალა ჩვენი გიმნაზიის უფროსი! ჩემი სოფოჩკა რომ გაიზრდება და გიმნაზიაში დაიწყებს სწავლას, მაშინ შემეშინდება შენი.

ოლგა. არ ვიქნები გიმნაზიის უფროსი.

ნატაშა. აგირჩევენ, ოლიჩკა, გადაწყვეტილია.

ოლგა. უარს ვიტყვი. არ შემიძლია... არ შემიძლია ამის ატანა (წყალს სვამს.) შენ ახლა ისე უხეშად მოექეცი გადიას... მაპატიე, მაგრამ... ამას ვერ ავიტან... თვალთ დამიბნელდა...

ნატაშა (აღელვებით). მაპატიე, ოლია, მაპატიე... არ მეგონა, ასე თუ გეწყინებოდა...

მაშა დგება. ბალიშს ხელს დაავლებს და გაჯავრებული გადის.

ოლგა. გაიგე, ჩემო კარგო.. ჩვენ, ალბათ, უცნაურად ვართ გაზრდილები, მაგრამ ამის ატანა არ შემიძლია. ეს რა საქციელია, როგორ უთხარი, არ შემიძლია, სიცოცხლე აღარ მინდა, აღარაფერი აღარ მინდა საერთოდ!..

ნატაშა. მაპატიე, მაპატიე... (ჰკოცნის.)

ოლგა. ყოველგვარი, თუნდაც ერთი ბეწო სიუხეშე, უკმეხად ნათქვამი სიტყვა მოსვენებას მიკარგავს...

ნატაშა. მართალია, ალბათ მეტისმეტი მომივიდა, მაგრამ, დამეთანხმე, არაფერი დაშავდება, ანფისამ რომ სოფელში იცხოვროს.

ოლგა. გადია ოცდაათი წელია ჩვენთან ცხოვრობს.

ნატაშა. მერე, ახლა რაში გვარგია, ან მე არ მესმის შენი, ან შენ არ გინდა გამიგო. ახლა რისი გაკეთება შეუძლია? ან ზის, ან ზეზეურად სძინავს.

ოლგა. იჯდეს, მერე.

ნატაშა (გაკვირვებით). როგორ თუ იჯდეს? მოსამსახურე იჯდეს? (ცრემლმორეული.) არ მესმის შენი, ოლია. გამდელიც მყავს, ძიძაც, მოახლეც და მზარეულიც... ეს დედაბერი, რისთვის გვჭირდება, რისთვის?

ისევ განგაშის ხმა ისმის.

ოლგა. ამაღამ ათი წლით მაინც დავბერდები.

ნატაშა. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, ოლია. შენ გიმნაზიაში იუფროსე, მე — ოჯახში. შენ სწავლის საქმეს მოუარე, მე — ოჯახს გავუძღვები და თუ რამეს მოსამსახურეებზე გეუბნები, ესე იგი ვიცი, რასაც ვამბობ, მე ვიცი, რასაც ვამ-ბობ... გიმეორებ, ხვალიდან ჩემმა თვალებმა აღარ დაინახონ ეგ ქურდბაცაცა კუდიანი დედაბერი (ფეხებს აბაკუნებს.) ნუ მიშლით ნერვებს! ნუ მაღიზიანებთ. (გონს მოდის.) იცოდე, შენ თუ ქვედა ოთახში არ გადახვალ, ჩვენ გაუთავებელი ჩხუბი გვექნება. ეს საშინელებაა.

შემოდის კულიგინი.

კულიგინი. სად არის მაშა? დროა, შინ წავიდეთ. ოქვეს, ჩაწყნარდაო ხანძარი (იზმორება.) მხოლოდ ერთი კვარტალი დამწვარა, — ისეთი ქარი იყო, მეგონა, მთელი ქალაქი დაიწვებოდა. (ჯდება.) დავიქანცე, ჩემო ოლიჩკა. ხშირად ვფიქრობ, მაშა რომ არა, შენ შეგირთავდი, შენ ისეთი კარგი ხარ... ეჰ, გავწამდი. (მიაყურებს.)

ოლგა. რა?

კულიგინი. თითქოს განგებ გააბა ექიმმა ხმა. გალეშილია. თითქოს ჯიბრზე სვამს! (დგება.) მგონი, აქეთ მოდის... გესმით? ჰო... მოდის (იცინის.) ღმერთო ჩემო, რასა ჰგავს. უნდა დავემალო... (მიდის კარადასთან და კუთხეში დგება.) ეჰ, ავაზაკი!

ოლგა. ორი წელია არ დაულევია, ახლა აიღო და ერთბაშად გამოთვრა... (ნატაშასთან ერთად ოთახის სიღრმისაკენ მიდის.)

შემოდის ჩებუტიკინი, სიმთვრალე არ ეტყობა. ოთახს გადაჭრის, შეჩერდება, მიიხედ-მოიხედავს, მერე პირსაბანთან მიდის და ხელებს იბანს.

ჩებუტიკინი (კუშტად). ეშმაკმა დასწყევლოს ყველა, დალახვროს ეშმაკმა... აქაოდა ექიმი ვარ, ჰგონიათ, ყველაფრის განკურნება შემიძლია. მე კი არაფერი არ ვიცი. რაც ვიცოდი, სულ, სუყველაფერი დამავიწყდა, აღარაფერი მახსოვს.

ოლგა და ნატაშა შეუმჩნევლად გადიან.

ეშმაკმა დალახვროს. გასულ ოთხშაბათს ერთ ავადმყოფ ქალთან ვიყავი, ვერაფერი ვუშველე, მოკვდა. ცხადია, მისი სიკვდილი ჩემი ბრალია. დიახ... ამ ოცი-ოცდახუთიოდე წლის წინათ რაღაც კიდევ ვიცოდი, ახლა უკვე აღარაფერი მახსოვს, აღარაფერი. იქნებ არც ვარ ადამიანი და მეჩვენება, რომ ხელფეხი მაქვს, თავიც მადგას მხრებზე. იქნებ, სინამდვილეში არც ვარსებობ საერთოდ და მხოლოდ მეჩვენება, რომ დავდივარ, ვჭამ, მძინავს (ტირის.) ო. ნეტა მართლა არ ვარსებობდე. (წყვეტს ტირილს. კუშტად.) ეშმაკმა იცის... სამი დღის წინ კლუბში შექსპირზე და ვოლტერზე ლაპარაკობდნენ, ხოლო მე არც ერთის არაფერი არ წამიკითხავს, თავი კი ისე დავიჭირე, თითქოს ყველაფერი ვიცოდი. სხვებიც ასე მოიქცნენ. რა სისაძაგლეა! რა სიმდაბლეა! ის ქალიც გამახსენდა, ხელში რომ ჩამაკვდა, ოთხშაბათს, ყველაფერი გამახსენდა და გული ამემღვრა, თავი შემეზიზღა... წავედი და გამოვთვერი...

შემოდიან ირინა, ვერშინინი და ტუზენბახი, ტუზენბახს ახალი, მოდური სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია.

ირინა. აქ დავსხდეთ. არავინ შეგვაწუხებს.

ვერშინინი. ჯარისკაცები რომ არ ყოფილიყვნენ, მთელი ქალაქი გადაიწვებოდა. ნამდვილად იყოჩაღეს. (სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტს.) კარგი ბიჭები არიან! ძალიან იყოჩაღეს!

კულიგინი (საფარიდან გამოდის). რომელი საათია, ბატონებო?

ტუზენბახი. ოთხი დაიწყო. თენდება.

ირინა. დარბაზი სავსეა, წასვლას არავინ აპირებს ის თქვენი სოლიონიც იქ ზის... (ჩებუტიკინს.) ექიმო, წადით და დაიძინეთ!

ჩებუტიკინი. არა მიშავს... მადლობას მოგახსენებთ. (წვერს ივარცხნის.)

კულიგინი (იცინის). გამობრუჟულხარ. ივან რომანიჩ! (მხარზე ხელს დაჰკრავს.) ყოჩაღ, in vino veritas[1], როგორც, ძველები იტყოდნენ.

ტუზენბახი. ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ კონცერტის გამართვას მთხოვენ.

ირინა. რა ძალებით აპირებთ?

ტუზენბახი. თუ მოვინდომებთ, მოვძებნით ძალებს. მარია სერგეევნა, ჩემი აზრით, საუცხოოდ უკრავს როიალზე...

[1] ღვინოშია ჭეშმარიტება. (ლათ.).

**კულიგინი.** საუცხოოდ უკრავს!

**ირინა.** რაღა ახსოვს. სამი თუ ოთხი წელია, თითი არ დაუკარებია...

**ტუზენბახი.** ამ ჩვენს ქალაქში მუსიკის არავის არაფერი გაეგება. სამაგიეროდ მე, მე მესმის და, პატიოსნებას გეფიცებით, რომ მარია სერგეევნა, შეიძლება ითქვას, ძალიან ნიჭიერი შემსრულებელია.

**კულიგინი.** მე მაშა ძალიან მიყვარს. მართალი ბრძანდებით. საყვარელი ქალია.

**ტუზენბახი.** ასე ბრწყინვალედ უკრავდე და იცოდე, შენი არავის ესმის, ძნელია!

**კულიგინი** (ამოიოხრებს). მართალი ბრძანდებით, მაგრამ უხერხული ხომ არ იქნება, რომ დაუკრას?

პაუზა.

ბატონებო, მე ამ საქმის არაფერი გამეგება. იქნებ ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, მაგრამ ერთი რამ უნდა მოგახსენოთ, ჩვენი დირექტორი კარგი ადამიანია, ძალიანაც კარგი, უჭკვიანესი, ოღონდ ისეთი შეხედულებები აქვს.. დიახ, ეს საქმე მას არ ეხება, მაგრამ მაინც, თუ გნებავთ, მოველაპარაკები.

ჩებუტიკინი ფაიფურის საათს იღებს და ათვალიერებს.

**ვერშინინი.** სულ გავმურულვარ, ადამიანს აღარ ვგევარ.

პაუზა.

გუშინ ყური მოვკარი, თითქოს ჩვენი ბრიგადა სადღაც შორს გადაჰყავთო. ზოგი პოლონეთის სამეფოს ამბობს, ზოგი — ჩიტას.

**ტუზენბახი.** მეც გავიგე. აი, მაშინ მთლად გამოყრუვდება აქაურობა.

**ირინა.** ჩვენც წავალთ.

**ჩებუტიკინი** (საათი უვარდება ხელიდან და იმსხვრევა). დაიმსხვრა!

პაუზა. ყველა შეწუხებული და შეცბუნებულია.

**კულიგინი** (ნამსხვრევებს კრეფს). როგორ გატეხეთ ასეთი ძვირფასი ნივთი! აჰ, ივან რომანიჩ, ივან რომანიჩ! ნოლი მინუსით ყოფაქცევაში.

**ირინა.** დედაჩემის საათი იყო.

**ჩებუტიკინი.** ალბათ იყო, დიდი ამბავი! იქნებ არც გამიტეხია და გვეჩვენება, რომ გავტეხე. იქნებ, საერთოდ გვეჩვენება რომ ვარსებობთ, სინამდვილეში კი არ ვარსებობთ, მე არაფერი არ ვიცი, არავინ არაფერი არ იცის. (კართან.) რას მომჩერებიხართ? აი, ნატაშამ სიყვარულობანა გააბა პროტოპოპოვთან, თქვენ კი ვერ ხედავთ... სხედხართ აქ და ვერაფერს ხედავთ, ნატაშამ კი სიყვარულობანა გააბა პროტოპოპოვთან (მღერის.) ფინიკს ხომ არ მიირთმევთ... (მიდის.)

**ვერშინინი** დიახ... (იცინის.) ყოველივე ერთობ საოცარია!

პაუზა.

ხანძარი რომ დაიწყო, მაშინვე გავიქეცი, მივედი, ვხედავ ჩვენი სახლი უვნებლად დგას, არავითარი საფრთხე არ ელის. ჩემი გოგონები კი საცვლების ამარა კართან ატუზულან, ცოლი არსად ჩანს, ირგვლივ ხალხი ირევა, დარბიან ცხენები, ძაღლები, დგანან ჩემი გოგონები შეშინებული, დამფრთხალი სახეებით და თითქოს იხვეწებიან, გვიშველეთო. ამის დანახვაზე გული შემეკუმშა. ღმერთო ჩემო, ვიფიქრე, რამდენი რამის გადატანა მოუხდებათ ჩემს შვილებს მთელი სიცოცხლის მანძილზე-მეთქი, ორივეს დავტაცე ხელი და გავიქეცი, თან მაინც იმაზე ვფიქრობდი: რამდენი განსაცდელი და გადასატანი ელოდებათ-მეთქი სიცოცხლეში.

განგაშის ხმა. პაუზა.

მოვედი თქვენთან, ჩემი ცოლი აქ დამხვდა, კივის და წივის, ერთ ამბავშია.

შემოდის მაშა ბალიშით ხელში და დივანზე ჯდება.

ჰოდა, რომ დავინახე, როგორ იყვნენ ატუზული კართან ჩემი ნახევრადშიშველი გოგონები, როგორ იყო გადაწითლებული ცეცხლის ალისგან მთელი ქუჩა, რა საზარელი ღრიანცელი იდგა ირგვლივ, გავიფიქრე, ალბათ მსგავსი რამ ხდებოდა-მეთქი, მრავალი წლის წინათაც, როცა მტერი მოულოდნელად გვესხმოდა თავს, გვძარცვავდა, ცეცხლს გვიკიდებდა.. კაცმა რომ თქვას, რამოდენა სხვაობაა წარსულსა და დღევანდელ დღეს შორის! გაივლის კიდევ ცოტა დრო, დაახლოებით ორასი-სამასი წელი და ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასაც ასევე კრძალვით და ირონიით შეხედავენ. ყოველივე დღევანდელი ძალზე მძიმედ, მოუხეშავად, მოუწესრიგებლად და უცნაურად მოეჩვენებათ. ო, ალბათ, რა ცხოვრება იქნება მომავალში, რა ცხოვრება! (იცინის.) მაპატიეთ, მე ისევ შევტოპე ფილოსოფიაში. ნება მომეცით, განვაგრძო, ბატონებო. საშინლად მომინდა ვიფილოსოფოსო. რატომღაც ასეთ გუნებაზე დავდექი.

პაუზა.

თქვენ რა, დაგეძინათ? იმას ვამბობდი, რა ცხოვრება იქნება-მეთქი! აბა, წარმოიდგინეთ.. თქვენნაირი ამჟამად ქალაქში მხოლოდ სამია! მაგრამ შემდგომ თაობებში მეტი იქნება, ისინი იმატებენ, გამრავლდებიან... დადგება დრო, როცა ყოველივე თქვენი სურვილის მიხედვით იქნება, ცხოვრებას თქვენებურად დაიწყებენ, მერე ესეც მოძველდება და თქვენზე უკეთესი თაობები წამოვლენ. (იცინის.) დღეს რაღაც განსაკუთრებულ გუნებაზე ვარ. საშინლად მწყურია სიცოცხლე... (მღერის.) **Любви все возрасты покорны, ее порывы благотворны...**

**მაშა.** ტრამ-ტამ-ტამ...

**ვერშინინი.** ტამ-ტამ...

**მაშა.** ტრა-რა რა...

**ვერშინინი.** ტრა-ტა-ტა. (იცინის).

შემოდის ფედოტიკი.

**ფედოტიკი** (ცეკვავს). ყველაფერი დამეწვა! არაფერი შემრჩა!

იცინიან.

**ირინა.** რა დროს ხუმრობაა, მართლა არაფერი არ გადაგირჩათ?

**ფედოტიკი** (იცინის). არა. არაფერი. გიტარაც დაიწვა. ფოტოგრაფიაც და მთელი ჩემი წერილებიც... უბის წიგნაკი მინდოდა თქვენთვის მეჩუქებინა — ისიც დაიწვა.

შემოდის სოლიონი.

**ირინა.** არა, არა, ვასილი ვასილიჩ, არ შემოხვიდეთ, გთხოვთ, მიბრძანდით, არ შეიძლება.

**სოლიონი.** ბარონისათვის შეიძლება, ჩემთვის არა? რატომ?

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** მართლაც, დროა წავიდეთ. ჩააქრეს ხანძარი?

**ᲡᲝᲚᲘᲝᲜᲘ.** აქრობენ. არა, მიკვირს და ვერ გამიგია. რატომ შეიძლება ბარონი შემოვიდეს, მე კი — არა? (ჯიბიდან სუნამოს იღებს და ისხურებს.)

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ.** ტრამ-ტამ-ტამ?

**ᲛᲐᲨᲐ.** ტრამ-ტამ.

**ᲕᲔᲠᲨᲘᲜᲘᲜᲘ** (იცინის. სოლიონის). დარბაზში გავიდეთ.

**ᲡᲝᲚᲘᲝᲜᲘ.** კეთილი, არც ეს არის დასაკარგი წინადადება. ეგ აზრი შეგიძლია უკეთ განვავრცოთ, ოღონდ მეშინია, ბატები არ დავაფრთხოთ (უყურებს ტუზენბახს.) ჯუ, ჯუ, ჯუ... (ვერშინინთან და ფედოტიკთან ერთად გადის.)

**ᲘᲠᲘᲜᲐ.** როგორ გაბოლა ოთახი ვასილი ვასილიჩმა. (გაოცებით.) ბარონს ჩასძინებია! ბარონი! ბარონი!

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ** (გამოფხიზლდება). ისე დავიღალე, რომ... აგურის ქარხანა... ნუ გეშინიათ, არ ვბოდავ. გადაწყვეტილი საქმეა, ახლო მომავალში აგურის ქარხანაში მივდივარ სამუშაოდ... უკვე შევუთანხმდი. (ირინას, ნაზად.) ფერი არ გადევთ. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი, რა მომხიბლავი ხართ.. თქვენი ფერმკრთალი სახე პირდაპირ ანათებს ამ სიბნელეში. არ შემიძლია ვუყურო თქვენს ნაღვლიან, ცხოვრებით უკმაყოფილო თვალებს, წამომყევით, წავიდეთ და ერთად ვიშრომოთ.

**ᲛᲐᲨᲐ.** ნიკალაი ლვოვიჩ, წადით აქედან.

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ** (სიცილით). აქა ხართ? ვერ დაგინახეთ. (ხელზე ჰკოცნის ირინას.) გემშვიდობებით, მივდივარ... გიყურებთ, ირინა და ვიცით, რა გამახსენდა, დიდი ხნის წინათ, ერთ-ერთ თქვენს დღეობაზე თქვენ ისეთი ხალისით და აღტაცებით ლაპარაკობდით შრომის სიხარულზე... რა ბედნიერად დამესახა მაშინ მომავალი ცხოვრება. სად წავიდა ის ბედნიერი ცხოვრება? (ხელზე კოცნის.) თვალები ცრემლით აგევსოთ. დაწექით, დაიძინეთ, თენდება კიდეც. ნებას თუ მომცემთ, ჩემს სიცოცხლეს თქვენთან დავალამებ.

**ᲛᲐᲨᲐ.** ნიკალაი ლვოვიჩ, გეყოფათ, წადით!

**ᲢᲣᲖᲔᲜᲑᲐᲮᲘ.** მივდივარ... (მიდის.)

**ᲛᲐᲨᲐ** (წვება). გძინავს, ფეოდორ?

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ.** ჰა?

**ᲛᲐᲨᲐ.** შინ წადი.

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ.** ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო მაშა...

**ᲘᲠᲘᲜᲐ.** დაიღალა მაშა, მოეშვი, დაასვენე.

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ.** ახლავე წავალ.. ჩემი კარგი, ჩემი მშვენიერი ცოლი... მიყვარხარ, ჩემო ერთადერთო...

**ᲛᲐᲨᲐ** (გაჯავრებით). Amo, amas, amat, amanuis, amatis, amant[1].

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ** (იცინის). არა, მართლა, საოცარი ქალი ხარ. შვიდი წელია ჩემი ცოლი ხარ და ასე მგონია, თითქოს გუშინ დავიწერეთ ჯვარი. პატიოსნებას გეფიცები, არა, ღმერთმანი, საოცარი ქალი ხარ. კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი, კმაყოფილი!

**ᲛᲐᲨᲐ.** მომბეზრდა, მომბეზრდა, მომბეზრდა... (წამოჯდება.) თავიდან არ გამომდის... ლურსმანივით ჩამეჭედა და ტვინს მიბურღავს... გაგიჟება შეიძლება, ვერ გავჩუმდები, ანდრეიზე ვამბობ... სახლი ბანკში დააგირავა, ფული კი მისმა ცოლმა ჩაიჯიბა. მაგრამ ეს სახლი მარტო მას ხომ არ ეკუთვნის, ჩვენია, ოთხივესი! წესიერი ადამიანი თუა, ეს უნდა ახსოვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ.** კარგი ერთი, მაშა! რად გინდა ეს სახლი? ანდრიუშა ყელამდე ვალებშია, ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**ᲛᲐᲨᲐ.** არა, ეს მაინც აღმაშფოთებელი ამბავია (ისევ წვება.)

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ.** მე და შენ არაფერი გვიჭირს. მე გიმნაზიაში ვმუშაობ, კერძო მოწაფეებიც მყავს... ერთი პატიოსანი, უბრალო ადამიანი ვარ... როგორც იტყვიან.

**ᲛᲐᲨᲐ.** მე განა რამეს ვთხოულობ, მაგრამ უსამართლობა მაცოფებს.

პაუზა.

წადი, ფეოდორ.

**ᲙᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘ** (კოცნის). დაღლილი ხარ, ნახევარი საათის დასვენება გეყოფა. მე სადმე ჩამოვჯდები, დაგელოდები. დაიძინე... (მიდის.) კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი, კმაყოფილი (გადის.).

**ᲘᲠᲘᲜᲐ..** მართლაც, როგორ დაწვრილმანდა ჩვენი ანდრეი, როგორ გასაცოდავდა და დაჩაჩანაკდა ამ ქალის გვერდით. ერთ დროს პროფესორობაზე ოცნებობდა, გუშინ კი თავს იმით იწონებდა, ბოლოს და ბოლოს, ერობის გამგეობის წევრად ამირჩიესო. ანდრეი გამგეობის წევრია, ხოლო პროტოპოპოვი თავმჯდომარე... მთელი ქალაქი ლაპარაკობს და დასცინის ამის გამო... ეგ კი ვერაფერს ვერ ხვდება... ახლაც, ყველა გამოვიდა, ეს კი ზის თავის ოთახში და უკრავს თავისთვის ვიოლინოს. (ნერვიულად.) რა საშინელებაა, საშინელებაა, საშინელება (ტირის.) აღარ შემიძლია, არ შემიძლია მეტის ატანა!.. აღარ შემიძლია!..

შემოდის ოლგა და თავისი მაგიდის ალაგებას იწყებს.

(ხმამაღლა ქვითინებს.) მომაშორეთ, მომაშორეთ აქაურობას, მეტი აღარ შემიძლია...

**ᲝᲚᲒᲐ** (შეშინებული). ირინა, რა დაგემართა, რა მოგივიდა, ძვირფასო!

**ᲘᲠᲘᲜᲐ** (ქვითინით). სად? სად წავიდა, სად გაქრა ყოველივე? სად? ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ყველაფერი დამავიწყდა, ამეზილა თავში... ამომიცვივდა... ისიც კი აღარ მახსოვს, როგორ არის იტალიურად ფანჯარა, ან ჭერი... ყველაფერი მავიწყდება. დღითიდღე, თანდათან. ცხოვრება კი მიდის და აღარასოდეს დაბრუნდება, აღარასოდეს, ვერასოდეს ვერ ვეღირსებით მოსკოვს... ვხედავ, ვერ ვეღირსებით...

**ᲝᲚᲒᲐ.** ძვირფასო, ძვირფასო...

**ᲘᲠᲘᲜᲐ** (თავს იკავებს). ო, რა უბედური ვარ... ვეღარ ვმუშაობ. აღარ ვიმუშავებ. კმარა, კმარა! ტელეგრაფი ხომ ვნახე, ახლა ქალაქის გამგეობაში ვმსახურობ და მძულს, მეზიზღება ყველაფერი, რასაც ვაკეთებ... წელს ოცდაოთხის გავხდები, რამდენი ხანია, ვმუშაობ. გონება გამომეფიტა, გავხდი, რას დავემსგავსე, დავბერდი და არაფერი, არავითარი, არავითარი კმაყოფილება არ მიმიღია. დრო კი მიდის და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ნამდვილ, მშვენიერ ცხოვრებას ვშორდები, ვკარგავ; რაღაც საშინელი უფსკრულისაკენ მივექანები. სიგიჟემდე ვარ მისული, მიკვირს, ამდენ ხანს რამ მაცოცხლა, თავი როგორ არ მოვიკალი?

[1] მიყვარხარ, მიყვარს, უყვარს და ა. შ. (ლათ.).

**ოლგა.** ნუ ტირი, ჩემო გოგო, ნუ ტირი... მეტი აღარ შემიძლია.

**ირინა.** აღარ ვტირი, არ ვტირი.. გეყოფა... ხომ ხედავ, უკვე აღარ ვტირი... თავი დამანებე...

**ოლგა.** ირინა, საყვარელო, გამიგონე, როგორც დას, როგორც მეგობარს, ისე გეუბნები, მე თუ მკითხავ, უნდა გაჰყვე ბარონს!

*ირინა ჩუმად ტირის.*

შენ მას პატივს სცემ, აფასებ... მერე რა, რომ შეუხედავია. სამაგიეროდ, პატიოსანი, წესიერი ადამიანია... ქალი სიყვარულისთვის არ თხოვდება, ირინა, მოვალეობის აღსრულებისთვის თხოვდება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ და ასე უსიყვარულოდ ვაპირებ გათხოვებას. სულ ერთია, ვინც არ უნდა მთხოვოს ცოლობა, გავყვები, ოღონდ პატიოსანი კაცი იყოს. თუნდაც ბებერი...

**ირინა,** როგორ ველოდებოდი მოსკოვში გადასვლას, ვფიქრობდი, შევხვდები ჩემთვის სასურველ ვინმეს... როგორ ვოცნებობდი წინდაწინ, როგორ მიყვარდა.. და აი, ყოველივე გამიცრუვდა... ყველაფერი სისულელეა.

**ოლგა** (მოეხვევა). ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო დაო! კარგად მესმის შენი. ბარონმა რომ სამხედრო სამსახური მიატოვა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი გამოგვეცხადა, ცუდად გავხდი. ცრემლი ვერ შევიკავე... რა გატირებთო? — მკითხა. ხომ ვერ ვეტყოდი, რა უშნო ყოფილხართმეთქი. მაგრამ, ღვთის წყალობით, შენი ქმარი თუ გახდება, თავს ბედნიერად ვიგრძნობ, ეს სულ სხვა ამბავი იქნება, სულ სხვა.

*მარჯვენა კარიდან გამოდის ნატაშა, მას სანთელი უჭირავს, ჩუმად გადაივლის სცენას მარცხენა კარისაკენ.*

**მაშა** (წამოჯდება). ცეცხლის წამკიდებელივით არ დადის?

**ოლგა.** მაპატიე, მაგრამ ცოტა გაკლია, მაშა. ჩვენს ოჯახში ყველაზე სულელი შენ ხარ.

*პაუზა.*

**მაშა.** რაღაც უნდა გაგიმხილოთ, ძვირფასო დებო. გული მეკუმშება. თქვენ თუ გაგიმხელთ, მხოლოდ თქვენ, სხვას ვის ვეტყვი.. მხოლოდ თქვენ (ჩუმად.) ეს ჩემი საიდუმლოა, მაგრამ თქვენ ყველაფერი უნდა იცოდეთ... ვერ დაგიმალავთ...

*პაუზა.*

მე მიყვარს, მიყვარს... მიყვარს ერთი კაცი... ის სულ ცოტა ხნის წინ აქ იყო... ერთი სიტყვით, ვერშინინი მიყვარს...

**ოლგა** (თეჯირს ეფარება) გაჩუმდი, სულერთია, არ გისმენ.

**მაშა.** არ მეშვება. (თავზე ხელებს წაივლებს.) თავიდან ახირებული მომეჩვენა, მერე შემებრალა... მერე შემიყვარდა.. შემიყვარდა მისი ხმა, ლაპარაკი, მისი გასაჭირი, მისი ორი გოგონა.

**ოლგა** (თეჯირის იქით). არაფერი არ მესმის, რა სისულელეც გინდა, თქვი, მე მაინც არ გისმენ.

**მაშა.** შენ სულელი ხარ, ოლია. რადგან მიყვარს, ესე იგი, ეს ყოფილა ჩემი ბედი. ჩემი ხვედრი.. იმასაც ვუყვარვარ... საშინელებაა, არა? ცუდი ამბავია? (ირინას ხელს მოჰკიდებს და მიიზიდავს.) ო, ჩემო ძვირფასო... ვინ იცის, როგორ გავლევთ ჩვენს ცხოვრებას, რა იქნება? რომანს რომ კითხულობ, დიდი ხნის ცნობილი და მოძველებული ამბავი გგონია, ყველაფერი ისეთი იოლია, გასაგები. ოღონდ როცა თვითონ შეგიყვარდება, მაშინ მიხვდები, რომ არაფერიც არ გესმის, არაფერიც არ იცი, ვერც სხვა გირჩევს რამეს და შენი საქმე თვითონ უნდა გადაწყვიტო... ჩემო კარგებო, ჩემო დებო.. მე გაგენდეთ. ეს იყო და ეს, ახლა დავდუმდები... ახლა გოგოლის შეშლილივით სულ მდუმარე ვიქნები.. დუმილი... დუმილი. დუმილი...

*შემოდის ანდრეი, უკან ფერაპონტი მოსდევს.*

**ანდრეი** (გაჯავრებით). ვერ გავიგე რა გინდა, წესიერად მითხარი.

**ფერაპონტი.** (კარ'ში, მოუთმენლად). ანდრეი სერგეევიჩ, უკვე ათჯერ მაინც მოგახსენეთ.

**ანდრეი.** ჯერ ერთი, მე შენთვის ანდრეი სერგეევიჩი კი არა, თქვენი მაღალკეთილშობილება ვარ!

**ფერაპონტი.** მეხანძრეები, თქვენო მაღალშობილებავ, გთხოვენ, ნება მოგვეცით, მდინარეზე ბაღით ჩავიდეთო. თორემ იმოდენა გზის შემოვლა უხდებათ, რომ წელში გაწყდნენ.

**ანდრეი.** კეთილი, უთხარი, კარგი-თქო.

*ფერაპონტი მიდის.*

მომაბეზრეს თავი. ოლგა სად არის?

*ოლგა თეჯირის იქიდან გამოდის.*

კარადის გასაღებისთვის მოვედი, ჩემი დამეკარგა. მგონი, შენც უნდა გქონდეს ისეთი პატარა გასაღები.

*ოლგა უხმოდ აწვდის გასაღებს. ირინა თავის თეჯირს მოეფარება.*

*პაუზა.*

რამოდენა ხანძარი ყოფილა! ქრება ნელ-ნელა, ეშმაკმა დალახვროს, ფერაპონტმა გული მომაყვანინა და მეც სისულელე ვუთხარი... თქვენო მაღალკეთილშობილებავ-მეთქი.

*პაუზა.*

ოლია, რატომ დუმხარ?
არ არის ახლა იმის დრო, სისულელებს ავყვეთ და ტყუილ-უბრალოდ ვებუტოთ ერთმანეთს. ჩვენ-ჩვენი გვეყოფა ყველას. მაშა აქ არის, ირინაც, ჰოდა, შესანიშნავია, ყველა ერთად ვართ და მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ. მითხარით, რა არ მოგწონთ ჩემი?

**ოლგა.** თავი დაგვანებე, ანდრიუშა. ხვალ ვილაპარაკოთ. (ნერვიულად.) მძიმე ღამეა.

**ანდრეი** (ძალზე შეცბუნებულია). ნუ ღელავ. მე სრულიად მშვიდად გეკითხებით: რა არ მოგწონთ? აგერ არა ვარ, მითხარით.

*ისმის ვერშინინის ხმა: „ტრამ-ტამ-ტამ!“*

**მაშა** (დგება, ხმამაღლა). ტრამ-ტა-ტამ! (ოლგას.) მშვიდობით, ოლია, ღმერთი იყოს შენი შემწე. (გადის თეჯირის უკან, ჰკოცნის ირინას.) ტკბილი ძილი... მშვიდობით, ანდრეი. წადი, დაღლილები არიან, თავი დაანებე, ხვალ მოვილაპარაკოთ... (მიდის.)

ოლგა. მართლაც, ანდრიუშა, სახვალიოდ გადავდოთ... (თეჯირს მოეფარება.) გვეძინება...

ანდრეი. ერთს გეტყვით და ახლავე წავალ... ჯერ ერთი, თქვენ ჩემი ცოლი არ მოგწონთ, ამას მე ქორწინების პირველი დღიდანვე ვამჩნევ. ნატაშა ჩინებული, პატიოსანი ადამიანია, პირდაპირი და კეთილშობილი — აი, ჩემი აზრი. მე ჩემი ცოლი მიყვარს და პატივს ვცემ — გესმით? პატივს ვცემ და მოვითხოვ, რომ მას სხვებიც პატივისცემით ექცეოდნენ. ვიმეორებ, იგი პატიოსანი, კეთილშობილი ადამიანია, ხოლო ის, რომ თქვენ რაღაც-რაღაცეებით უკმაყოფილო ხართ, მაპატიეთ და, უბრალო ახირებაა.

პაუზა.

მეორეც, თქვენ, თითქოს, ის გაქვთ საწყენად, რომ მე პროფესორი არ გავხდი, არ გავყევი მეცნიერებას, სამაგიეროდ, ერობაში ვმსახურობ, ერობის გამგეობის წევრი ვარ და ეს სამსახური ისეთივე წმინდა და საპატიო საქმედ მიმაჩნია, როგორც მეცნიერების სამსახური. მე ერობის გამგეობის წევრი ვარ და, იცოდეთ, ვამაყობ კიდეც ამით...

პაუზა.

მესამეც... კიდევ დამრჩა ერთი სათქმელი.. მართალია, სახლი ისე დავაგირავე, თქვენთვის არ მიკითხავს... დავაშავე, დიახ, და გთხოვთ, მაპატიოთ... სხვა გზა არ მქონდა, ვალები.. ოცდათხუთმეტი ათასი მემართა... მე კარტს აღარ ვთამაშობ. დიდი ხანია თავი დავანებე, მაგრამ მთავარი, რითაც თავს ვიმართლებ ის არის, რომ თქვენ, პენსიას იღებთ, მე კი, ასე ვთქვათ, შემოსავალი არ გამაჩნია.

პაუზა.

კულიგინი (კარში). მაშა აქ ხომ არ არის? (შეშფოთებული.) სად არის? უცნაურია... (მიდის.)

ანდრეი. არ მისმენენ. ნატაშა დიდებული, პატიოსანი ადამიანია. (გაჩუმდება და სცენაზე ბოლთას სცემს. მერე შეჩერდება.) ცოლი რომ შევირთე, ვფიქრობდი, ბედნიერად ვიცხოვრებთ-მეთქი... ყველანი ბედნიერები ვიქნებით-მეთქი,.. მაგრამ, ღმერთო ჩემო... (ტირის.) ჩემო საყვარელო დებო, ძვირფასო დებო, არ დამიჯეროთ, არა.. (მიდის.)

კულიგინი. (კარში, შეშფოთებით). სად არის მაშა? აქ არ არის? საოცარია. (მიდის.)

ისმის განგაშის ხმა. სცენა ცარიელია.

ირინა. (თეჯირს იქით). ოლია! ვინ გვიკაკუნებს ქვევიდან?

ოლგა. ექიმი, მთვრალია.

ირინა. რა არეული ღამეა.

პაუზა.

ოლია (თეჯირიდან გამოიხედავს). არ გაგიგია? ბრიგადა მიდის ქალაქიდან, სადღაც შორს გადაჰყავთ.

ოლგა. ჭორებია.

ირინა. სულ გამოვყრუვდებით, ოლია!

ოლგა. მერე?

ირინა. ჩემო ძვირფასო, საყვარელო, მე პატივს ვცემ, ვაფასებ ბარონს. ის შესანიშნავი ადამიანია, გავყვები ცოლად, თანახმა ვარ, ოღონდ მოსკოვში წავიდეთ. გევედრები, წავიდეთ, მოსკოვზე უკეთესი ამქვეყნად არაფერია, წავიდეთ, ოლია! წავიდეთ მოსკოვში!

ბიბლიოთეკა

ფ ა რ დ ა

## მეოთხე მოქმედება

პროზოროვების ძველი ბაღი. ნაძვების გრძელი ხეივნის ბოლოს მდინარე მოჩანს. მდინარის გაღმა ტყეა. მარჯვნივ სახლის ტერასაა, მაგიდაზე ბოთლები და ჭიქები დგას. ჩანს, შამპანური უსვამთ. დღის თორმეტი საათია. დროდადრო თითო-ოროლა გამვლელი გადაჭრის ბაღს ქუჩიდან მდინარისაკენ. სწრაფად ჩაივლის ხუთიოდე ჯარისკაცი. ჩებუტიკინი უდარდელ გუნებაზეა, მთელი მოქმედების განმავლობაში ბაღში სავარძელში ზის და ელის, როდის დაუძახებენ, ქუდი ახურავს, ხელში ჯოხი უჭირავს. ირინა, ულვაშგაპარსული კულიგინი, ყელზე ჩამოკიდებული ორდენით და ტუზენბახი ტერასაზე დგანან და კიბეზე ჩამომავალ ფედოტიკსა და როდეს აცილებენ, ორივე ოფიცერს სამგზავრო ფორმა აცვია.

ტუზენბახი (ფედოტიკს კოცნის). ძალიან მწყდება გული, ისე შევეთვისეთ. (როდეს კოცნის.) კიდევ ერთხელ გემშვიდობებით, ძვირფასო!

ირინა. ნახვამდის.

ფედოტიკი. ნახვამდის კი არა, მშვიდობით. ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ველარ შევხვდებით.

კულიგინი. ვინ იცის. (თვალებს იწმენდს, იღიმება.) ხედავთ, ცრემლიც მომერია.

ფედოტიკი. ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ? იქნებ ველარც ვიცნოთ ერთმანეთი, ან თუ ვიცნობთ, ალბათ ცივად მივესალმებით... (სურათს უღებს.) ერთხელ კიდევ. მორჩა და გათავდა!

ირინა. შევხვდებით ოდესმე.

როდე (ტუზენბახს ეხვევა). მეტს ველარ განახავთ... (ირინას ხელზე კოცნის.) ყველაფრისათვის დიდი მადლობა!

ფედოტიკი (წყენით). მოიცა!

ტუზენბახი. ღვთის წყალობით, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს. მოგვწერეთ, აუცილებლად მოგვწერეთ.

როდე (თვალს შეავლებს ბაღს). მშვიდობით, ხეებო! (ყვირის.) ეჰეი!

პაუზა.

მშვიდობით, ექო!!

კულიგინი. ვინ იცის, იქნებ პოლონეთში დაოჯახდეთ კიდეც... პოლონელი ცოლი პოლონურად მოგეფერებათ — „კოხანე"! (იცინის.)

ფედოტიკი (საათზე დაიხედავს). ერთი საათიღა დაგვრჩა. ჩვენი ბატარეიდან მხოლოდ სოლიონი მიჰყვება კარჟას, ჩვენ სამწყობრო ნაწილს მივყვებით. დღეს სამი ბატარეა მიდის, ხვალ — კიდევ სამი. დამშვიდდება და დაწყნარდება ქალაქი.

ტუზენბახი. თან გამოყრუვდება.

როდე. მარია სერგეევნა სადაა?

კულიგინი. ბაღშია.

ფედოტიკი. უნდა გამოვემშვიდობო!

როდე. მშვიდობით, წავიდეთ, თორემ ცრემლს ველარ შევიკავებ... (სწრაფად ეხვევა ტუზენბახს და

კულიგინს, კოცნის ირინას ხელზე.) აქ დიდებულად ვგრძნობდით თავს.

ფედოტიკი (კულიგინს). ჩემგან სახსოვრად გქონდეთ. ფანქრიანი უბის წიგნაკია... წავედით... (მიდიან, თან უკან იყურებიან.)

როდე (ყვირის). ეჰე-ჰეი!

კულიგინი (ხმამაღლა). მშვიდობით!

სცენის სიღრმეში ფედოტიკი და როდე ხვდებიან მაშას და ეთხოვებიან, მაშა მათ მიჰყვება.

ირინა. წავიდნენ... (ტერასის ქვედა საფეხურზე ჯდება.)

ჩებუტიკინი. მე არ გამომემშვიდობნენ, დამავიწყდი.

ირინა. თქვენ რატომ არ გამოემშვიდობეთ?

ჩებუტიკინი. რატომღაც მეც დამავიწყდა. თუმცა მალე ვნახავ, ხვალ მეც მივდივარ... კიდევ ერთი დღე დამრჩა. ერთი წლის შემდეგ სამსახურს თავს დავანებებ, დავბრუნდები და დარჩენილ დღეებს თქვენს გვერდით გავატარებ. პენსიამდე ერთი წელიღა მაკლია... (ერთ გაზეთს ჯიბეში ინახავს, მეორეს ამოიღებს.) დაგიბრუნდებით და ჩემს ცხოვრებას ძირფესვიანად შევცვლი... ისეთი წყნარი, ძალიან, ძალიან თვინიერი გავხდები, ისეთი წესიერი...

ირინა. ოღონდაც, უნდა შეცვალოთ, ძვირფასო, როგორმე უნდა შეცვალოთ.

ჩებუტიკინი. დიახ, მეც ვგრძნობ. (ღიღინებს.)

კულიგინი. დიდი გამოუსწორებელი ადამიანი ხართ!

ჩებუტიკინი. გამოსასწორებლად თქვენ ხომ არ მოგებართოთ?

ირინა (ფეოდორს). ულვაშგაპარსულს ვერ გიყურებთ.

კულიგინი. რა მოხდა მერე?

ჩებუტიკინი. ენის წვერზე მაქვს ის სიტყვა, რასაც მიგიგავთ სახე, მაგრამ ვერ ვამბობ.

კულიგინი. რა გაეწყობა. წესს ვერ დავარღვევთ, ასეთია modus vivendi[1]. ჩვენი დირექტორიც ულვაშგაპარსულია. მეც, როგორც კი ინსპექტორად დამნიშნეს, მაშინვე გავიპარსე. არავის არ მოსწონს, მაგრამ მე ეგ არ მადარდებს. მე კმაყოფილი ვარ. მექნება ულვაში, თუ არ მექნება, მე მაინც კმაყოფილი ვარ. (ჯდება.)

ბაღის სიღრმეში ანდრეი მძინარე ბავშვს ჩაატარებს ეტლით.

ირინა. ივან რომანიჩ, ჩემო კარგო, კეთილო, ძალიან აფორიაქებული ვარ, გუშინ ბაღში ყოფილხართ, მითხარით, ერთი რა მოხდა იქ?

ჩებუტიკინი. არაფერიც არ მომხდარა, სალაპარაკოდაც არ ღირს (გაზეთს კითხულობს.) სულ ერთია.

კულიგინი. თქვენ, თითქოს სოლიონი და ბარონი გუშინ თეატრის წინ, ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს...

ტუზენბახი. კარგით ერთი! როგორ გეკადრებათ... (ხელს ჩაიქნევს და სახლში შედის.)

კულიგინი. თეატრის წინ... სოლიონი ბარონს რაღაცაზე აჩხირებია, ბარონსაც ვერ მოუთმენია და რაღაც საწყენი უთქვამს...

ჩებუტიკინი. არ ვიცი. ყველაფერი სისულელეა.

კულიგინი. რომელიღაც სემინარიაში მასწავლებელმა მოწაფის ნაწერს რუსულად მიაწერა „Чепуха", მოწაფემ კი ამოიკითხა „რენიქსა" — ეგონა, ლათინურად წერიაო... (იცინის.) ძალიან სასაცილოა. ამბობენ, სოლიონის ირინა უყვარს და ამის გამო შეიძულაო ბარონი.. ეს გასაგებიცაა, ირინა მართლაც შესანიშნავი არსებაა. თითქოს ჰგავს კიდეც მაშას, მაშასავით იცის ხოლმე ჩაფიქრება. ოღონდ, შენ, ირინა, უფრო რბილი ხასიათისა ხარ, თუმცა, [illegible] რომ თქვას, მაშასაც ძალიან კარგი ხასიათი აქვს. მე მიყვარს მაშა.

სცენის იქით, ბაღის სიღრმიდან ისმის: „აუ! ეჰე-ჰეი!"

ირინა (შეკრთება). დღეს ყველაფერი მაშინებს.

პაუზა.

უკვე ყველაფერი ჩავალაგე. სადილის შემდეგ გავგზავნი ბარგს, მე და ბარონი ხვალ ჯვარს დავიწერთ და ხვალვე წავალთ აგურის ქარხანაში, ზეგ უკვე სკოლაში ვიქნები, ახალ ცხოვრებას დავიწყებთ. ღმერთია შემწე! მასწავლებლად რომ მიღებდნენ, გამოცდაზე სიხარულისა და ბედნიერებისაგან ვიტირე.

პაუზა.

მალე წაიღებენ ბარგს...

კულიგინი. ასეა, ასე. თუმცა ყოველივე არასერიოზულად მეჩვენება, ლიტონი იდეებია, სერიოზულობას ვერ ვხედავ. ყოველ შემთხვევაში, სულით და გულით გისურვებ...

ჩებუტიკინი (გულაჩუყებული). ჩემო სათნო, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო... ისე შორს გასწიეთ, ვეცი ვეღარ მოგეწევით. ჩამოგრჩით, როგორც ფრინველი გადაფრენისას, ბებერი, უძლური ფრინველი. გაფრინდით, ჩემო კარგებო, გაფრინდით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

პაუზა.

ულვაში კი ტყუილად მოიპარსეთ, ფეოდორ ილიჩ.

კულიგინი. კარგით ერთი! (ოხრავს.) აი, წავლენ დღეს სამხედროები და ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტს დაუბრუნდება. ვინც რა უნდა თქვას, მაშა კარგი, პატიოსანი ქალია, მე ის ძალიან მიყვარს და ბედის მადლიერიც ვარ.. ყოველ ადამიანს თავისი ბედი აქვს.. აქ აქციზში, ვინმე კოზირევი მსახურობს. ერთად ვსწავლობდით. გიმნაზიის მეხუთე კლასიდან გარიცხეს იმის გამო, რომ ვერასგზით ვერ გაიგო ut consecutivum[2]. ახლა ძალიან უჭირს, ავადმყოფობს და ხანდახან რომ ვხვდები, ვეუბნები: „გამარჯობა, ut consecutivum-მეთქი! ჰო, მეუბნება, სწორედ რომ უტ კონსეკუტივუმ და თან ახველებს... მე კი ხომ ხედავთ აი, მთელი სიცოცხლე ბედი მწყალობდა, ბედნიერი ვარ, მეორე ხარისხის სტანისლავიც მაქვს და ახლა თვითონ ვასწავლი სხვებს ამ ut consecutivum-ს. ცხადია, ჭკვიანი კაცი ვარ, ბევრზე ჭკვიანი, მაგრამ ბედნიერება ეს არ არის.

სახლში როიალზე „ღვთისმშობლის ლოცვას" უკრავენ.

ირინა. ხვალ საღამოს უკვე ვეღარ გავიგონებ ამ „ღვთისმშობლის ლოცვას", აღარც პროტოპოპოვს შევხვდები...

პაუზა.

---

1 აქ: ასეა დაწესებული. (ლათ.).

2 ლათინური ენის გრამატიკული კონსტრუქცია. (ლათ.).

სახტუმროში ბრძანდება, დღესაც მოვიდა...

კულიგინი. გიმნაზიის უფროსი ჯერ არ მობრძანებულა?

ირინა. არა. ეტლი გაუგზავნეს. რომ იცოდეთ, როგორ მიჭირს ოლიას გარეშე სახლში ყოფნა... ოლია გიმნაზიაში ცხოვრობს, გიმნაზიის უფროსია და მთელი დღე საქმითაა დაკავებული. მე კი მარტო ვარ, გამოყრუებული, უსაქმოდ და მძულს ჩემი ახლანდელი ოთახ,ი ახე რომ, გადავწყვიტე: მოსკოვში ცხოვრება არ მიწერია, რა გაეწყობა?! ესე იგი ეს ყოფილა-მეთქი ჩემი ბედი, მართლაც, ყველაფერი ღვთის ნებაა. ნიკოლაი ლვოვიჩმა ხელი მთხოვა... რა მექნა? ვიფიქრე და დავთანხმდი, ბარონი კარგი ადამიანია, საოცრად კარგი... ჩემს სულს თითქოს ფრთები შეესხა. გუნება გამომიკეთდა, ყველაფერი იოლი მეჩვენა და ისევ მომინდა მუშაობა, მუშაობა... ოღონდ აი, გუშინ ეტყობა რაღაც მოხდა, გუშინდელს აქეთ თითქოს რაღაც უჩვეულო და იდუმალი ჩამისაფრდა...

ჩებუტიკინი. რენიქსა. სისულელეა.

ნატაშა (ფანჯრიდან). გიმნაზიის უფროსი მოვიდა.

კულიგინი. გიმნაზიის უფროსი მობრძანდა, წავიდეთ.

ირინას შეჰყვება სახლში.

ჩებუტიკინი (გაზეთს კითხულობს, ღიღინებს). ელახა, მელახა, თავის საქმე აქვს ყველახა.

შემოდის მაშა და უახლოვდება ჩებუტიკინს, სცენის სიღრმეში ანდრეი საბავშვო ეტლს მიაგორებს.

მაშა. დახეთ, ერთი, რა გემოზე მოკალათებულა!

ჩებუტიკინი. რა მერე?

მაშა (ჯდება). არაფერი...

პაუზა.

თქვენ დედაჩემი გიყვარდათ?

ჩებუტიკინი. ძალიან.

მაშა. იმასაც უყვარდით?

ჩებუტიკინი (პაუზის შემდეგ). ეგ აღარ მახსოვს.

მაშა. ჩემი კაცი აქ არის? მახსოვს, ასე მოიკითხავდა ხოლმე ჩვენი მზარეული მართა თავის პოლიციელს. ჩემი კაცი. ჩემი კაცი აქ არის?

ჩებუტიკინი. ჯერ არა.

მაშა. როცა ბედნიერება ასე იშვიათად, ასე გამოზომილად და ძუნწად გეძლევა, თან ისე გეცლება ხელიდან, ჩემი არ იყოს, თანდათანობით უხეშდები, იბოღმები... (გულზე ხელს იდებს.) აი, აქ ცეცხლი მეკიდება... (უყურებს ანდრეის, რომელიც საბავშვო ეტლს გაატარებს.) ესეც ჩვენი ანდრეი, ჩვენი ძამიკო... ყველა იმედი გადაიწურა! ათასობით ადამიანმა გაიდო მხარზე ზარი და ისე აიტანეს მაღლა, უამრავი შრომა და ფული დაიხარჯა ამ საქმეზე, ხოლო ზარი ერთბაშად დაცურდა და დაიმსხვრა მოულოდნელად, უაზროდ. ანდრეიც ასევე...

ანდრეი. ბოლოს და ბოლოს, ამ სახლს სიმშვიდე თუ ეღირსება! რა გაუთავებელი ხმაურია!

ჩებუტიკინი. ეღირსება. (საათზე დაიხედავს.) ძველებური საათი მაქვს, რეკავს... (მართავს საათს, საათი რეკავს.) პირველი, მეორე და მეხუთე ბატარეები ზუსტად პირველ საათზე გავლენ...

პაუზა.

მე კი ხვალ დაგემშვიდობებით.

ანდრეი.. სამუდამოდ?

ჩებუტიკინი. რა ვიცი, შეიძლება ერთი წლის შემდეგ დავბრუნდე, თუმცა ეშმაკმა იცის... სულ ერთია...

სადღაც შორს ქნარსა და ვიოლინოზე უკრავენ.

ანდრეი. ქალაქი დაცარიელდება, გამოყრუვდება.

პაუზა.

გუშინ თეატრთან რაღაც ამბავი მომხდარა, ყველა ამაზე ლაპარაკობს, მე კი არაფერი ვიცი.

ჩებუტიკინი. არაფერიც არ მომხდარა. სისულელეა. სოლიონი ბარონს აუხირდა. ბარონიც გაცხარდა და შეურაცხყოფა მიაყენა მას. ბოლოს და ბოლოს, სოლიონი იმ ზომამდე მივიდა, რომ ბარონი დუელში გაიწვია (საათზე დაიხედავს). მგონი დროა,.. პირველის ნახევარზე, სახაზინო ჭალაში ხვდებიან ერთმანეთს. (იცინის.) სოლიონის მგონია, ლერმონტოვი ვარო, ლექსებსაც წერს. ხუმრობა იქით იყოს, და მისთვის ეს მესამე დუელია.

მაშა. ვისთვის?

ჩებუტიკინი. სოლიონისათვის.

მაშა. ბარონისათვის?

ჩებუტიკინი. რა ბარონისათვის?

პაუზა

მაშა. ყველაფერი ამეზილა თავში... იმას გეუბნებით, არ უნდა მისცეთ ამის უფლება. რომ დაჭრას ბარონი, ან მოკლას?

ჩებუტიკინი. ბარონი კარგი ადამიანია, მაგრამ ქვეყნად ერთი ბარონით მეტი იქნება თუ ნაკლები, რა მნიშვნელობა აქვს? მოხდეს რაც მოსახდენია! სულ ერთია!

ბაღის სიღრმიდან ისმის ძახილი: ჰაუ! ეჰე-ჰეი!

მოიცდის. ეს სკვარცოვია. სეკუნდანტი. ნავში ზის.

პაუზა

ანდრეი. იცით, მე განსხვავებას ვერ ვხედავ, მიიღებ მონაწილეობას დუელში თუ დაესწრები მას, თუნდაც როგორც ექიმი. ჩემი აზრით, ეს ერთნაირი უზნეობაა.

ჩებუტიკინი. ყველაფერი მოჩვენებითია... ჩვენ არა ვართ, არაფერი არ არის ამქვეყნად. ჩვენ არ ვარსებობთ, მხოლოდ გვეჩვენება, რომ ვარსებობთ... და განა ყველაფერი ერთი არ არის?

მაშა. მთელი დღე, აი, ასე — გაუთავებლად ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ... (მიდის.) თითქოს ეს უამინდობა არ კმარა, ხაცაა თოვლი დაგვატყდება თავს, აქ კი ლაპარაკით გიწყალებენ გულს. არ შემიძლია, არ შევალ შინ. (შეჩერდება.) ვერშინინი რომ მოვა, დამიძახეთ (მიდის ხეივნით.) მიფრინავენ ფრინველები თბილი ქვეყნებისაკენ. (ცაში იყურება.) მიფრინავენ გედები, წეროები.. ჩემო კარგებო, ჩემო ბედნიერებო... (მიდის.)

ანდრეი. დაცარიელდება ჩვენი სახლი. წავლენ ოფიცრები. წახვალთ თქვენ, ირინა გათხოვდება და დავრჩები სახლში მარტო.

**ჩებუტიკინი.** ცოლი?

შემოდის ფერაპონტი ქაღალდებით ხელში.

**ანდრეი.** ცოლი — ცოლია. ნატაშა პატიოსანი, წესიერი, შეიძლება ითქვას, კეთილი ქალია, მაგრამ ამასთან ერთად ბუნებაში უზის რაღაც ისეთი, რაც მას პატარა, ბრმა, ქერცლიან ცხოველს ამსგავსებს. ყოველ შემთხვევაში, ადამიანური არაფერი გააჩნია. ამას გეუბნებით როგორც მეგობარს, რომელსაც შემიძლია გული გადავუშალო. მართალია, მე მიყვარს ნატაშა, მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ საშინლად უხამსია, აი მაშინ ვიბნევი და ვერ ვიგებ, რატომ, რისთვის მიყვარს ასე. ან უფრო სწორად, რის გამო მიყვარდა...

**ჩებუტიკინი** (დგება). მე, ჩემო ძმაო, ხვალ მივემგზავრები. ალბათ ვერასოდეს ველარ გნახავ. ყური მიგდე, გირჩევ, დაიხურო ქუდი, დაიჭირო ჯოხი და გზას გაუდგე.. წადი, უკანმოუხედავად, იარე და იარე, რაც უფრო შორს წახვალ, მით უკეთესი იქნება.

სცენის სიღრმეში გამოჩნდებიან სოლიონი და ორი ოფიცერი. ჩებუტიკინის დანახვაზე სოლიონი შემოტრიალდება, ოფიცრები გზას განაგრძობენ.

**სოლიონი.** ექიმო, დროა! უკვე პირველის ნახევა- (ანდრეის ესალმება).

**ჩებუტიკინი.** ახლავე. თავი მომაბეზრეთ ყველამ. (ანდრეის). ვინმემ თუ მიკითხა, ანდრიუშა, უთხარი, მალე დაბრუნდება-თქო... (ოხრავს). ოხო-ხო-ხო!

**სოლიონი** (ჩებუტიკინის მიჰყვება.) ვერც კი მოასწრო ორამდე დათვლა, უმალ თათებქვეშ მოიგდო დათვმა. რა გაკრიახებთ, ბებერო?

**ჩებუტიკინი.** აბა, აბა!

**სოლიონი.** როგორა ხართ ჯანზე?

**ჩებუტიკინი.** როგორც კატა ბანზე.

**სოლიონი.** ბებერი ტყუილად ღელავს. ბევრს არაფერს დავუშავებ, ტყის ქათამივით გავაგორებ. (ამოიღებს სუნამოს და ხელებზე ისხურებს.) დღეს მთელი შუშა გადავისხი და მაინც მცემს სუნი. მკვდრის სუნი მცემს.

პაუზა.

მაშ, ასე... გახსოვთ ეს სტრიქონები? ის კი მოჯანყე უხმობს ქარიშხლებს, იქ ჰპოვებს თითქოს სულის სიმშვიდეს...

**ჩებუტიკინი.** მახსოვს. ვერც კი მოასწრო ორამდე დათვლა, უმალ თათებქვეშ მოიგდო დათვმა. (სოლიონის მიჰყვება.)

ისმის ხმები: „ჰეი-ჰეი! უ-უ!" შემოდიან ანდრეი და ფერაპონტი.

**ფერაპონტი.** ხელია მოსაწერი...

**ანდრეი** (ნერვიულად). თავი დამანებე! გემუდარები, თავი დამანებე! (მიდის და საბავშვო ეტლს მიაგორებს.)

**ფერაპონტი.** ხელი თუ არ მოაწერეთ, ქაღალდები რისი მაქნისია? (სცენის სიღრმეში მიდის.)

შემოდიან ირინა და ტუზენბახი, ირინას ჩალის ქუდი ახურავს, კულიგინი სცენას ჩაივლის ძახილით: „ჰაუ, მაშა, ჰაუ!"

**ტუზენბახი.** მთელ ქალაქში ერთადერთს, მგონი ამას უხარია, სამხედროების წასვლა.

**ირინა.** სავსებით გასაგებია.

პაუზა.

დაცარიელდა ახლა ჩვენი ქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტუზენბახი** (საათზე დაიხედავს). ძვირფასო, მე ახლავე დავბრუნდები.

**ირინა.** სად მიდიხარ?

**ტუზენბახი.** ქალაქში უნდა გავიდე, მერე კი... ამხანაგებს გავაცილებ.

**ირინა.** სიმართლეს არ მეუბნები... ნიკოლაი, რატომ ხარ დღეს ასე დაბნეული?

პაუზა.

რა მოხდა გუშინ თეატრთან?

**ტუზენბახი** (შეწუხებული). ერთ საათში დავბრუნდები და კვლავ შენთან ვიქნები. (ხელებს დაუკოცნის.) ჩემო სანატრელო... (სახეში შეხედავს.) ხუთი წელია მიყვარხარ და ჯერაც ვერ შევეჩვიე, სულ უფრო და უფრო მომწონხარ. რა შესანიშნავი, რა საუცხოო თმა გაქვს! როგორი თვალები! ხვალვე წაგიყვან აქედან, ჩვენ ვიშრომებთ, ჩვენ ყველაფერი გვექნება, ყველა ოცნება ამისრულდება. შენ ბედნიერი იქნები. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: შენ არ გიყვარვარ!

**ირინა.** რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის! მე ვიქნები შენი ერთგული, მორჩილი ცოლი, მაგრამ რა ვქნა, არ მიყვარხარ, (ტირის.) მე ჯერ არვინ მყვარებია, სიყვარულზე მხოლოდ მიოცნებია, დიდი ხანია ვოცნებობ სიყვარულზე. დღე და ღამე ვოცნებობ, ჩემი სული ჩაკეტილი ძვირფასი როიალივითაა, მისი გასაღები დაკარგულია.

პაუზა.

რატომ გაქვს ასეთი შეშფოთებული თვალები?

**ტუზენბახი.** წუხელ არ მიძინია. ჯერ მე ცხოვრებაში არაფერს შევუშფოთებივარ. სულს მხოლოდ ეს დაკარგული გასაღები მიფორიაქებს და არ მაძინებს... მითხარი რამე!

პაუზა.

მითხარი რამე!...

**ირინა.** რა? რა გითხრა? რა?

**ტუზენბახი.** სულ ერთია.

**ირინა.** კმარა, კმარა!

პაუზა.

**ტუზენბახი.** ზოგჯერ უმნიშვნელო, უაზრო წვრილმანები ცხოვრებაში მოულოდნელად დიდ მნიშვნელობას იძენენ ხოლმე. შენ კი მათ ძველებურად დასცინი, არაფრად აგდებ, თუმცა მათ ტყვეობას თავს ვერ აღწევ, მონუსხულივით მობყვები და ძალა არ შეგწევს თავი დააღწიო. ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. მხიარულ გუნებაზე ვარ! თითქოს სიცოცხლეში პირველად ვხედავდე ამ ნაძვებს, ნეკერჩხლებს, არყებს... ირგვლივ ყოველივე ცნობისმოყვარეობით და მოლოდინით შემომყურებს. რა ლამაზი ხეებია, წარმომიდგენია, რა ლამაზი ცხოვრება უნდა ჰქონდეს ადამიანს მათ გვერდით.

ძახილი: „ჰაუ! ეჰე, ჰეი!"

უნდა წავიდე, დროა... აი, ხე გამხმარა, მაგრამ ქარი მას სხვებთან ერთად მაინც არხევს. იცი, მე მგონია, რომც მოვკვდე, სიცოცხლის ფერხულში მაინც მივიღებ რაღაც მონაწილეობას ამ ხესავით. მშვიდობით, ძვირფასო... (ხელებს უკოცნის.) ქაღალდები რომ მომაბარე, ჩემს მაგიდაზე აწყვია, კალენდრის ქვეშ.

ირინა. მეც წამოგყვები!

ტუზენბახი (შეშფოთებული), არა, არა! (სწრაფად მიდის, ხეივანში შეჩერდება.) ირინა!

ირინა. რა იყო?

ტუზენბახი. (არ იცის, რა თქვას). დღეს ყავა არ დამილევია. უთხარი, მომიხარშონ... (სწრაფად გადის.)

ირინა ჩაფიქრებული დგას, მერე სცენის სიღრმეში მიდის და საქანელაზე ჯდება. შემოდის ანდრეი, თან საბავშვო ეტლს მოაგორებს. გამოჩნდება ფერაპონტი.

ფერაპონტი. ანდრეი სერგეიჩ, ჩემი ხომ არ არის ეს ქაღალდები. უწყებისაა. ჩემი მოგონილი კი არ არის.

ანდრეი. ეჰ, სადღა არის, სად წავიდა ჩემი წარსული, სად გაქრა ჩემი ახალგაზრდობა, ხალისი, ცინცხალი გონება? სადღაა ჩემი ნატიფი ოცნებები და ფიქრები? სად არის ის დრო, როდესაც აწმყოსა და მომავალს იმედები მიცისკროვნებდა? რატომ არის, რომ სიცოცხლის დასაწყისშივე გვერევა ნაღველი, უფერულობა, სიზარმაცე, გულგრილობა, რა გვაქცევს თავიდანვე უსარგებლო და უბედურ ადამიანებად?.. ჩვენი ქალაქი ორასი წლისაა, ამ ქალაქში ასი ათასი მცხოვრებია და ამდენ ხალხში ერთი გამორჩეული ადამიანი არ არის. ქალაქს არ ჰყოლია და არ ჰყავს არც ერთი მეცნიერი, არც ერთი მხატვარი. ერთი მაინც ერიოს, რამედ რომ ღირდეს, რომ შეგშურდეს მისი, ან თუნდაც მიბაძვა მოგინდეს... ჭამენ, სვამენ, სძინავთ და მერე იხოცებიან... შემდეგ ჩნდებიან სხვები, ისინიც ჭამენ, სვამენ, მათაც სძინავთ და მთლად რომ არ გამოთაყვანდნენ მოწყენილობისაგან, ხელოვნურად იხალისებენ ცხოვრებას საზიზღარი ჭორებით, არყით, კარტის თამაშით. ცოლები ქმრებს ატყუებენ, ქმრებიც თავს იტყუებენ, ქათოდა არაფერს ვხედავთ, არაფერი გვესმისო. გამოუსწორებელი უხამსობა აბეჩავებს ბავშვებს, კლავს მათში ღვთიურ ნაპერწკალს და ისინიც დედ-მამის ვალობაზე ერთმანეთის მსგავს უბადრუკ გვამებად იქცევიან. (ფერაპონტს). რა გინდა?

ფერაპონტი. რა და ხელი მოაწერეთ.

ანდრეი. გული გამიწყალე.

ფერაპონტი. (ქაღალდებს უწვდის). ახლახან სახაზინო პალატის შვეიცარი გვიყვებოდა... თითქოს პეტერბურგში გასულ ზამთარს ორასი გრადუსი ყინვა ოფილიყო.

ანდრეი. მეზიზღება აწმყო. სამაგიეროდ მომავალზე რომ ვფიქრობ, კარგია. თავს ისე მსუბუქად და ალად ვგრძნობ, შორით მოკიაფე სინათლე გზას მინათებს და მე ვხედავ თავისუფლებას, ვხედავ, როგორ მიდის ჩვენგან უსაქმობა, მას მიჰყვება ბურახი, კომბოსტო, ბატი, შუადღის ძილი. უნამუსო მუქთახორობა...

ფერაპონტი. ორი ათასი კაცი გაყინულაო, თითქოს. ხალხი სულ დაგიეუდა. ოღონდ პეტერბურგზე თქვა თუ მოსკოვზე, ველარ ვიგონებ.

ანდრეი (სინაზემორეული). ჩემი საყვარელი, მშვენიერი დები. (ცრემლმორეული.) მაშა, ჩემო ძვირფასო...

Il ne faut pas faire du breut, la Sophie est dormee déja.[1]

[1] ნუ ხმაურობთ, სოფოს უკვე სძინავს. დათვი ხართ! (დამახინჯებული ფრანგული).

ნატაშა (ფანჯრიდან). ვინ ლაპარაკობს აქ ხმამაღლა? შენ ხარ ანდრიუშა? სოფოჩკას გააღვიძებ. (გაბრაზებით.) ლაპრაკი თუ გინდა, ბავშვი სხვას მიეცი. ფერაპონტ, ბავშვთან მიდი.

ფერაპონტი. მესმის. (ბავშვთან მიდის.)

ანდრეი (დარცხვენით). ჩუმად ვლაპარაკობ.

ნატაშა. (ფანჯრის იქით, ბიჭს ეფერება). ბობიკ! ჩემი გადარეული, ჩემი საძაგელი ბიჭი.

ანდრეი (ქაღალდებს ათვალიერებს). კარგი, გადავხედავ და ხელსაც მოვაწერ, როცა საჭირო იქნება, მერე წაიღებ გამგეობაში (შინ შედის, ფერაპონტს ბავშვიანი ეტლი ბაღის სიღრმისაკენ მიჰყავს.)

ნატაშა (გარედან). ბობიკ, აბა მითხარი, რა ჰქვია შენს დედიკოს? საყვარელო? ეს ვინღაა? ეს მამიდა ოლიაა. აბა, უთხარი, გამარჯობა, ოლია!

მოხეტიალე მუსიკოსები — კაცი და გოგონა — ვიოლინოსა და ქნარზე უკრავენ. სახლიდან გამოდიან ვერშინინი, ოლგა და ანფისა, ერთხანს ჩუმად უსმენენ, მათ ირინა უერთდება.

ოლგა. შარაგზად გადაიქცა ჩვენი ბაღი. არც ფეხით მოსიარულე გვაკლია, არც ეტლები. (ანფისას.) მიეცი რამე ამ მუსიკოსებს!..

ანფისა (ფულს აძლევს მუსიკოსებს). წადით, ჩემო კარგებო, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

მუსიკოსები თავს უკრავენ და გადიან.

დამწარებული ხალხია. მაძღარი კაცი ასე არ იხეტიალებს (ირინას.) გამარჯობა, არიშა! (ჰკოცნის.) იი, გენაცვალე, აი, მესმის ცხოვრება, რა ყოფაში ვარ! გიმნაზიაში, სახელმწიფო ბინაში, ოლიუშკასთან ერთად მაღირსა ღმერთმა კუთხე ამ სიბერის დროს. ჩემს დღეში არ მიცხოვრია მე საცოდავს ასე... დიდი ბინაა, ჩემი ოთახი მაქვს და საკუთარი საწოლიც მიდგას. ყველაფერი სახელმწიფოსია. გამეღვიძება ღამე და — ო, ღმერთო ჩემო, ღვთისმშობელო დედავ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება!

ვერშინინი (საათზე დაიხედავს). დროა, ოლგა სერგეევნა, მეც უნდა წავიდე.

პაუზა.

ყოველივე, ყოველივე კარგს გისურვებთ.. მარია სერგეევნა სად არის?

ირინა. ბაღშია, სადღაც.. წავალ, მოვძებნი.

ვერშინინი. თუ შეიძლება, გეთაყვა, მეჩქარება.

ანფისა. წავალ, მეც მოვძებნი (ყვირის). მაშენკა, აუ! (ირინასთან ერთად ბაღის სიღრმეში მიდის.) ა-უ-, აუ!

ვერშინინი. ყველაფერს აქვს დასასრული. აი, ჩვენც ვშორდებით. (საათზე დაიხედავს.) ქალაქმა გამოსამშვიდობებელი საუზმე მოგვიწყო, შამპანური გვასვეს, ქალაქის თავმა სიტყვაც წარმოთქვა, ვჭამე, ვსვი, მაგრამ სულით და გულით აქ ვიყავი, თქვენთან... (ბაღს თვალს მიმოავლებს.) ძალიან შეგეჩვიეთ.

ოლგა. ოდესმე, ალბათ, შევხვდებით ერთმანეთს.

ვერშინინი. ალბათ, ვერა.

პაუზა.

ცოლი და ბავშვები ორ თვეს კიდევ აქ რჩებიან. ასე რომ, თუ რამე მოხდა, ან რამე გაუჭირდათ...

ოლგა. ჰო, ჰო, რასაკვირველია. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

პაუზა.

ხვალ ქალაქში არც ერთი სამხედრო პირი აღარ იქნება, ყოველივე მოგონებად იქცევა, და, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ახალი ცხოვრება დაიწყება...

პაუზა.

ყველაფერი ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ხდება. არ მინდოდა გიმნაზიის უფროსობა, მაინც გავხდი. არ გველირსება მოსკოვი...

**ვერშინინი.** აბა.. ყველაფრისთავის დიდი მადლობა მომიხსენებია... მაპატიეთ, თუ როდისმე რაიმე გაწყენინეთ.. ბევრს, ძალიან ბევრს ვლაპარაკობდი, ესეც მაპატიეთ, ავად ნუ მომიგონებთ.

**ოლგა** (ცრემლს იწმენდს). რატომ არ მოდის... მაშა...

**ვერშინინი.** კიდევ რა გითხრათ ამ განშორების ჟამს? რაზე ვიფილოსოფოსო? (იცინის.) მძიმეა ცხოვრება. ბევრ ჩვენგანს დახშული და უიმედო ჰგონია სიცოცხლე, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი თანდათან უფრო ნათელი, უფრო იოლი ხდება და, როგორც ჩანს, შორს აღარ არის ის დრო, როდესაც იგი საგრძნობლად გაუმჯობესდება. (საათზე დაიხედავს.) დროა უკვე, ჩემი წასვლის დროა! წინათ კაცობრიობა ომებით იყო დაკავებული და მთელ თავის არსებობას ლაშქრობებით, და გამარჯვებებით ავსებდა. ახლა კი ყველაფერმა ამან თავისი დრო მოჭამა და სანაცვლოდ ვეებერთელა სიცარიელე დაგვიტოვა, რომელსაც ჯერ ვერაფრით ავსებენ, კაცობრიობა დაჟინებით ეძებს სიცარიელის შესავსებ საშუალებას, ეძებს და მიაგნებს კიდეც. ნეტა მალე მიაგნებდეს.

პაუზა.

იცით, შრომისმოყვარეობას განათლებაც რომ მიემატოს, ხოლო განათლებას — შრომისმოყვარეობა! (დაიხედავს საათზე.) დროა, უკვე წასვლის დროა...

**ოლგა.** აი, მოდის.

შემოდის მაშა.

**ვერშინინი.** დასამშვიდობებლად მოვედი...

ოლგა განზე დადგება, რომ გამოთხოვებას ხელი არ შეუშალოს.

**მაშა** (შეხედავს). მშვიდობით...

ხანგრძლივი კოცნა.

**ოლგა.** გეყოფათ, გეყოფათ...

მაშა ქვითინებს.

**ვერშინინი.** მომწერე... არ დამივიწყო! გამიშვი... დამაგვიანდა... ოლგა სერგეევნა, ხელი მოჰკიდეთ, უნდა წავიდე, დროა... ვიგვიანებ... (გულაჩუყებული ხელებზე ჰკოცნის ოლგას, მერე ერთხელ კიდევ ეხვევა მაშას და სწრაფად გადის.)

**ოლგა.** გეყოფა, მაშა! დაწყნარდი, ძვირფასო...

შემოდის კულიგინი.

**კულიგინი** (შეცბუნებული). არაფერია, იტიროს.. ჩემი კარგი მაშა, ჩემი კეთილი მაშა.. შენ ჩემი ცოლი ხარ და, რაც უნდა იყოს, მაინც ბედნიერი ვარ... მე არაფერს ვუჩივი. ერთ საყვედურსაც არ ვეუბნები... აი, ოლიაც მოწმეა... შევუდგეთ ძველებურ ცხოვრებას. მე ერთი სიტყვითაც არაფერს გაგახსენებ, გადაკრულადაც კი.

**მაშა** (თავს იკავებს). ზღვასთან მდგარი მწვანე მუხა, ოქროს ჯაჭვი ზედ შებმული... ლამის ჭკუიდან შევიშალო.,. ზღვასთან მდგარი მწვანე მუხა...

**ოლგა.** დაწყნარდი მაშა.. დაწყნარდი... წყალი დაალევინე.

**მაშა.** აღარ ვტირი.

**კულიგინი.** აღარ ტირის... ჩემი კეთილი მაშა...

ისმის ყრუ, შორეული გასროლის ხმა.

**მაშა.** ზღვასთან მდგარი მწვანე მუხა, ოქროს ჯაჭვი ზედ შებმული... მწვანე კატა... მწვანე მუხა... ავურიე. (წყალს სვამს.) უკუღმართად წამივიდა ცხოვრება... აღარაფერი მჭირდება... ახლავე დავწყნარდები... აღარაფერი მენაღვლება... რას ნიშნავს, ზღვასთან ახლოს? რას ამეკვიატა ეს სიტყვა? აზრები ერთმანეთში მერევა.

შემოდის ირინა.

**ოლგა.** დაწყნარდი მაშა. აი, ასე, ჩემო ჭკვიანო გოგო!.. შევიდეთ ოთახში...

**მაშა** (გაჯავრებით). არ შემოვალ. (ქვითინებს, მაგრამ იმ წამსვე ჩერდება.) მე შინ არ შევდივარ და არც შევალ... და აღარც შემოვალ...

**ირინა.** მოდით, ცოტა ხანს ერთად დავსხდეთ. ნუ ვილაპარაკებთ, მე ხომ ხვალ მივდივარ...

პაუზა.

**კულიგინი.** ნახეთ, ულვაში და წვერი, გუშინ მესამე კლასში ერთ ბიჭუნას წავართვი... (ულვაშს და წვერს იკეთებს.) ხომ ვგავარ გერმანული ენის მასწავლებელს... (იცინის.) არა? რა სასაცილოები არიან ეს ბიჭები.

**მაშა.** მართლაც, ჰგავხარ გერმანულის მასწავლებელს.

**ოლგა** (იცინის). ძალიან.

მაშა ტირის.

**ირინა.** გეყოფა, მაშა!

**კულიგინი.** ძალიან ვგავარ...

შემოდის ნატაშა.

**ნატაშა** (მოახლეს). რა? სოფოჩკასთან პროტოპოპოვი მოიცდის, ბობიკი ანდრეი სერგეიჩმა გაასეირნოს. რამდენი რამე სჭირდება ბავშვებს... (ირინას.) ირინა, შენ ხვალ მიდიხარ.. გული მწყდება. იქნებ ერთ კვირას კიდევ დარჩენილიყავი... (კულიგინის დანახვაზე შეჰყვირებს, ის იცინის და იხსნის წვერსა და ულვაშს.) ერთი თქვენც, გული გამიხეთქეთ (ირინას.) ისე მიგეჩვიე, შენ გგონია, ჩემთვის ადვილი იქნება შენთან განშორება? შენს ოთახში ანდრეის გადავაბარგებ თავისი ვიოლინოთი, აწრიპინოს, რამდენიც უნდა! მის ოთახში კი სოფოჩკას გადავიყვან. საოცარი, არაჩვეულებრივი, პირდაპირ გადასარევი ბავშვია! დღეს აი ასეთი თვალებით შემომხედა და მეუბნება — „დედა!“

**კულიგინი.** მართლაც, მშვენიერი ბავშვია.

**ნატაშა.** ესე იგი, ხვალიდან ამ სახლში მე ვიქნები სრულუფლებიანი დიასახლისი. (ოხრავს.) პირველყოვლისა, ვუბრძანებ, ეს ნაძვები აჩეხონ, მერე აი, ამ ნეკერჩხალს მოვაჭრევინებ... საღამოობით უშნო სანახავია... (ირინას.) ძვირფასო, სრულებით არ გიხდება ეს ქამარი.. უგემოვნოა... ბაცი უფრო მოგიხდებოდა.. ყველგან ყვავილებს დავარგავევინებ, აქაც,

იქაც, ყველგან ყვავილების სუნი იდგეს... (მკაცრად.) რატომ გდია სკამზე ჩანგალი! (გაემართება სახლისაკენ, მოახლეს). რა უნდა სკამზე ჩანგალს, გეკითხები? (ყვირის.) ხმა, კრინტი!

**კულიგინი.** სულ გათავხედდა.

სცენის სიღრმიდან მარშის ხმა ისმის. ყველანი უსმენენ.

**ოლგა.** მიდიან.

შემოდის ჩებუტიკინი.

**მაშა.** მიდიან ჩვენები. რას იზამ.. ბედნიერი გზით ევლოთ. (ქმარს.) შინ წავიდეთ... ჩემი ქუდი და მოსასხამი სად არის?

**კულიგინი.** ოთახშია... ახლავე გამოვიტან. (სახლში შედის.)

**ოლგა.** ჰო, ახლა უკვე შეიძლება სახლებში წავიდეთ. დროა.

**ჩებუტიკინი.** ოლგა სერგეევნა?

**ოლგა.** რა მოხდა?

პაუზა.

**ჩებუტიკინი.** არაფერი.. არც ვიცი.. როგორ გითხრათ... (ყურში რაღაცას უჩურჩულებს.)

**ოლგა** (შეშინებული). შეუძლებელია!

**ჩებუტიკინი.** დიახ... ასე მოხდა.. დავიღალე, დავიტანჯე, ლაპარაკის თავიც არა მაქვს... (წყენით.) თუმცა ყველაფერი სულ ერთია.

**მაშა.** რა მოხდა?

**ოლგა** (ირინა ეხვევა). რა საშინელი დღეა დღეს... არ ვიცი, როგორ გითხრა, ჩემო ძვირფასო...

**ირინა.** რა მოხდა? ღვთის გულისათვის, მითხარით, რა მოხდა! (ტირის.)

**ჩებუტიკინი.** ეს-ეს არის დუელში ბარონი მოკლეს...

**ირინა** (ჩუმად ტირის). მე ვიცოდი, ვიცოდი...

**ჩებუტიკინი** (სცენის სიღრმეში სკამზე ჯდება). დავიქანცე... (ჯიბიდან გაზეთს იღებს.) იტირონ... (ჩუმად ღიღინებს.) აკაკაჩია, ბაკაკაჩია, რა გსურს, რა გინდა, რა გამაჩნია.,. ყველაფერი სულ ერთია.

სამი და დგას, ერთმანეთს ეკვრიან.

**მაშა.** ო, როგორ უკრავს მუსიკა! მიდიან ჩვენგან, ერთი მათგანი სულ წავიდა, სამუდამოდ, მარტონი ვრჩებით, უნდა ცხოვრება თავიდან დავიწყოთ, უნდა ვიცხოვროთ... უნდა...

**ირინა** (თავს მკერდზე აყრდნობს ოლღას.) დადგება დრო და ყველა გაიგებს, რისთვის ხდება ყოველივე, რატომ იტანჯება ხალხი ასე, ყველა საიდუმლო ამოიხსნება, მანამდე კი უნდა ვიცხოვროთ... უნდა ვიშრომოთ, უსათუოდ ვიშრომოთ! მე მარტო გავემგზავრები ხვალ, ბავშვებთან წავალ სკოლაში და მთელ ჩემს სიცოცხლეს შევწირავ მათ, ვისაც ეს სჭირდება, ახლა შემოდგომაა, მალე ზამთარი დადგება, ირგვლივ ყველაფერს თოვლი დაფარავს და ვიმუშავებ...

**ოლგა** (დებს ეხვევა). მუსიკა ისე მხნედ და ხალისიანად უკრავს, რომ სიცოცხლე მომინდა! ო, ღმერთო ჩემო! გაივლის კიდევ დრო და სამუდამოდ წავალთ ამ ქვეყნიდან. დაგვივიწყებენ, აღარავის ემახსოვრება ჩვენი სახეები, ხმები, არც ის, თუ რამდენი ვიყავით. სამაგიეროდ, ჩვენი ტანჯვის სანაცვლოდ ისინი სიხარულს მიიღებენ. ბედნიერება და მშვიდობა დაისადგურებს დედამიწაზე. კეთილი სიტყვით და ლოცვა-კურთხევით მოგვიგონებენ ჩვენ, ვინც დღეს ვცხოვრობთ. ო, ჩემო საყვარელო დებო, ჯერ ჩვენი ცხოვრება არ დასრულებულა. ჩვენ ვიცოცხლებთ! მუსიკა ისე მხიარულად, ისე ხალისიანად უკრავს, რომ, ასე მგონია, ცოტა კიდევ და გავიგებთ, რატომ ვცოცხლობთ, რატომ ვიტანჯებით. ოღონდ ეს გამაგებინა, ოღონდ ეს გამაგებინა.

მუსიკა თანდათან ჩუმდება. მხიარულ, მომღიმარ კულიგინს შლიაპა და მოსასხამი მოაქვს, ანდრეი მოაგორებს საბავშვო ეტლს, რომელშიც ბობიკი ზის.

**ჩებუტიკინი** (ღიღინებს). აკაკაჩია, ბაკაკაჩია... (გაზეთს კითხულობს). სულ ერთია. ყველაფერი სულ ერთია!

**ოლგა.** ოღონდ გამაგებინა, ოღონდ გამაგებინა!

ფ ა რ დ ა

თარგმნა **ლია ღლონტმა.**